ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

შაბათი – კვირა, 23 – 24 იანვარი, 2016

№18 (6944)

ფასი: 50 თეთრი



გვ.9

გერმანიაც ევროპაშია, ინგლისში ლონდონური დერბია

## სტატისტიკა, ფსონები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 23.01 | ნორვიჩი-ლივერპული | 4.0 | 3.4 | 1.95 |
| 23.01 | მალაგა-ბარსელონა | 7.5 | 4.6 | 1.3 |
| 23.01 | გლადბახი-დორტმუნდი | 4.33 | 4.0 | 1.73 |
| 23.01 | პსჟ-ანჟე | 1.18 | 6.5 | 17.0 |
| 23.01 | ნანტი-ბორდო | 2.4 | 3.1 | 3.1 |
| 24.01 | არსენალი-ჩელსი | 2.05 | 3.4 | 3.6 |
| 24.01 | ატლეტიკო-სევილია | 1.6 | 3.4 | 5.0 |
| 24.01 | დეპორტივო-ვალენსია | 2.15 | 3.1 | 3.0 |
| 24.01 | ბეტისი-რეალი | 7.5 | 5.5 | 1.25 |
| 24.01 | ფიორენტინა-ტორინო | 1.83 | 3.5 | 4.4 |
| 24.01 | სამპდორია-ნაპოლი | 6.5 | 4.2 | 1.5 |
| 24.01 | იუვენტუსი-რომა | 1.67 | 3.6 | 5.5 |
| 24.01 | ლიონი-მარსელი | 2.15 | 3.3 | 3.4 |
| 24.01 | რეიმსი-სტ.ეტიენი | 2.9 | 3.0 | 2.6 |

# კახა კალაძე: „მე თავად გადავწყვეტ, როდის მივიდე პარლამენტში“



გვ.2

„მივმართავთ საქართველოს პრეზიდენტს, მოიწვიოს ეროვნული უშიშროების საბჭოს სპეციალური სხდომა ამ აშკარა საფრთხესა და მისი განეიტრალების გზებზე სამსჯელოდ. ჩვენი მხრივ მზად ვართ ამ სხდომაში მონაწილეობის მისაღებად. აუცილებელია, ივანიშვილის არჩევნების გზით ხელისუფლებიდან ჩამოშორებამდე ამ მთავრობას არ მიეცეს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისა და ჩვენი მოქალაქეების კეთილდღეობისთვის დამანგრეველი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობა. ოპოზიცია და საზოგადოება ამას არც ერთ შემთხვევაში არ დაუშვებს"



## გივი თარგამაძე: „კალაძე, თვალში ვინმე ხომ არ გებერლუსკონება!“

## მიხეილ დონდუა: „ეროვნულ ბანკს 1 მილიარდი დოლარის დაზოგვა შეეძლო“

„ლარი აღარ გაუფასურდება“

გვ.6





## გიორგი ბაქრაძე: „ლევან ბერძენიშვილმა რეიტინგი აგვიწია“

გვ.3





„მმართველ კოალიციაში შემავალი პარტიების ყოყლოჩინობა გამაღიზიანებელია“

გვ.5

## ანზორ აბრალავა: „დიდმა ფულმა ნორმალური პარტიები პოლიტიკიდან განდევნა“

ISSN 1987-9385
9 771987 938006



## „რაღა ბერძენიშვილის განცხადება და რაღა ენდიაის კვლევა“

გვ.3



„ქართული ოცნება“ არჩევნების გაყალბებისთვის ემზადება“



## თორნიკე შარაშენიძე: „ივანიშვილი დილემის წინაშე დგას“

— გვ. 4 —

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# გივი თარგამაძე: „კალაძე, თვალში ვინმე ხომ არ გებერლუსკონება!“



შორენა მარსაგიშვილი

**ნაციონალური მოძრაობა გაზპრომის საკითხზე საყოველთაო შეშფოთებისთვის ემზადება. სანამ ეს ქუჩაში გამოსვლისკენ მოუწოდებდნენ, ცდილობენ, საქმეში ჯაჩვი გაეჩხენ.**

საკითხში ღრმად და საფუძვლიანად ჩაღრმავების მიზნით მათ პარლამენტში ენერგეტიკის მინისტრი და იმავდროულად მთავარი გაზპრომოლოგი კახა კალაძე დაიბარეს.

დეპუტატ გიორგი კანდელაკის განცხადებით, მთავრობა ქვეყანას გაზპრომზე დამოკიდებულს იმიტომ ხდის, რომ ამაში ბიძინა ივანიშვილის ინტერესებია.

— როგორც ოპოზიციის, ასევე საზოგადოების მხრიდან არაერთხელ გამოითქვა ეჭვი, რომ საქართველოს გაზპრომზე დამოკიდებულების გასაზრდელად მიმართული მთავრობის აგრესიული მცდელობის ერთ-ერთი მიზეზი ბიძინა ივანიშვილის ფინანსური ინტერესიცაა.

ამ ეჭვის თანახმად, ივანიშვილს, რომელიც, ოფიციალური ცნობებით, წარმოადგენდა გაზპრომის ყველაზე მსხვილ მეწილეს, საკუთარი მილიარდ აშშ დოლარიანი წილი ამ ორგანიზაციაში არ გაუყიდია, — აღნიშნავს დეპუტატი.

მას ამ დღეებში შვეიცარიულ მედიაში გამოქვეყნებული მასალებიც მოჰყავს მაგალითად. გიორგი კანდელაკის ინფორმაციით, 21 იანვარს წამყვან შვეიცარიულ გაზეთებში გაჩნდა ცნობა იმის შესახებ, რომ ბიძინა ივანიშვილმა ერთ-ერთი ფარმაცევტული



კომპანიის აქციებში ინვესტირების გამო, ბანკ „კრედიტ სუისში“ 100 მილიონი აშშ დოლარი იზარალა.

— ურყევი რეპუტაციის გაზეთები, როგორებიცაა „ლე ტემპსი“ და „ჰანდელსცაიტუნგი“, ივანიშვილს გაზპრომის მეწილედ მოიხსენიებენ. ამდენად, მსგავსი სანდოობის და მყარი რეპუტაციის წყაროები ადასტურებენ იმას, რაც ქართველი ხალხისთვის ისედაც ცხადია: გარდა რუსეთის, ოკუპანტი სახელმწიფოს გავლენის ზრდისა, გაზპრომთან დაკავშირებით მთავრობის ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი ბიძინა ივანიშვილის ჯიბეცაა. სახეზეა უმწვავესი კონფლიქტი ამ პიროვნების ჯიბის და საქართველოს ეროვნულ ინტერესებს და ეროვნულ უსაფრთხოებას შორის, — ამბობს დეპუტატი.

## კახა კალაძე: „მე თავად გადავწყვეტ, როდის მივიდე პარლამენტში“

მისი თქმით, ამ საკითხთან დაკავშირებით უშიშროების საბჭოს სხდომა უნდა გაიმართოს.

— მივმართავთ საქართველოს პრეზიდენტს, მოიწვიოს ეროვნული უშიშროების საბჭოს სპეციალური სხდომა ამ აშკარა საფრთხესა და მისი განეიტრალების გზებზე სამსჯელოდ. ჩვენი მხრივ მზად ვართ ამ სხდომაში მონაწილეობის მისაღებად. აუცილებელია, ივანიშვილის არჩევნების გზით ხელისუფლებიდან ჩამოშორებამდე ამ მთავრობას არ მიეცეს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისა და ჩვენი მოქალაქეების კეთილდღეობისთვის დამანგრეველი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობა. ოპოზიცია და საზოგადოება ამას არც ერთ შემთხვევაში არ დაუშვებს, — აცხადებს კანდელაკი.

სხვა ნაციონალების მსგავსად, ისიც მიიჩნევს, რომ ენერგეტიკის მინისტრმა პარლამენტში განმარტებები უნდა გააკეთოს.

მინისტრის პარლამენტში მისვლა ოფიციალურად ნუგზარ წიკლაურმა მოითხოვა. კალაძეს ისე ეწყინა ნაციონალების მიერ მისი დაბარება, თითქოს სააკაშვილის პრეზიდენტობისას, მაშინაც კი, როცა მილანის ფეხბურთელი იყო, ნაციონალებთან ფეხბურთის სათამაშოდ არ მიდიოდა.

ახლა კი გადაწყვიტა, მათ თავი არ გაუყადროს, მაგრამ არც პარლამენტის მიმართ სურს უპატივცემულობის გამოვლენა. ამბობს, რომ პარლამენტში მაშინ მივა, როცა ამისი დრო ექნება.

— პარლამენტში მისვლაზე გავაკეთე განცხადება, რომ მზად ვარ ნებისმიერ დაინტერესებულ ადამიანთან, ექსპერტები იქნებიან ესენი, არასამთავრობოები თუ სხვა, ამ კონკრეტულ თემაზე შესახვედრად. ასევე პარლამენტში აუცილებლად მივალ. ცხადია, მათ უნდათ შოუს დადგმა. მე თანახმა ვარ, მონაწილეობა მივიღო ამ შოუში, თუმცა, როდესაც დრო მექნება, ამასთან დაკავშირებით წინასწარ ვაცნობებ მათ და არა, როდესაც ბატონი წიკლაური ნაბახუსევზე გაიღვიძებს და მოინდომებს კალაძის მისვლას პარლამენტში. ამას მე გადავწყვეტ, როდის უნდა მივიდე, — განაცხადა კახა კალაძემ.

რაც შეეხება ინფორმაციას იმის შესახებ, რომ მან ნაციონალურ მოძრაობას წერილობით აცნობა პარლამენტში მისვლის თაობაზე უარი, კალაძე აცხადებს, რომ იმ პერიოდში ვენაში იყო და ამიტომ პარლამენტში მისვლას ვერ მოახერხებდა.

კალაძის უარი ნაციონალებმა ძალიან იწყინეს. ყველაზე მეტად გივი თარგამაძე გაცხარდა, რომელიც თავის დროზე ძალიან კარგად იყო მინისტრთან და, როგორც ამბობენ, უკრაინაში ერთობლივი ბიზნესებიც კი ჰქონდათ.

თარგამაძეს ეტყობა ძალიან ეწყინა, კალაძემ წიკლაური აუგად რომ მოიხსენია და მას ავტოგოლები გაახსენა.

— ის ვერ გადაგიწყვეტია, მოედანზე შენი კარი რომელია, რომელ მხარეს თამაშობ, ეგ კი გადაწყვიტე — გაზპრომის. გლუვტვინიანის მიერ უნიჭო ვაჟისთვის ნაყიდი სათამაშო ხარ და რაღა პარლამენტზე გაილაღე? ერთადერთ ადგილზე, სადაც ადამიანური სიმდაბლის კი არა, კანონის გამო გევალება მოსვლა. როცა მოგესურვება კი არა, როცა დაგიძახებთ და რამდენჯერაც დაგიძახებთ, მობრძანდები და პასუხს აგებ. შენ აქ ვინმე თვალში ხომ არ გებერლუსკონება, შე უნიათოვ და სავალალოვ შენა, — აცხადებს გივი თარგამაძე.

განცხადება მინისტრის მიერ შერისხულმა ნუგზარ წიკლაურმაც გააკეთა. დეპუტატი ღრმად არის დარწმუნებული, რომ კალაძეს პარლამენტში მისვლა მაინც მოუწევს.

— როგორც არ უნდა ეცადოს თავის დაძვრენას, ენერგეტიკის მინისტრ კალაძეს მაინც მოუწევს პარლამენტში მოსვლა და პასუხისგება გაზპრომთან გამართული მოლაპარაკებების და კაპიტულაციის გამო. ეს მოხდება პარლამენტის განაწესის და რეგლამენტის შესაბამისად, რადგან რუსული კომპანიის ლობისტი მინისტრი ანგარიშვალდებულია ხალხის მიერ არჩეული პარლამენტის წინაშე.

რაც შეეხება მის განცხადებაში მოყვანილ პლებეურ გამონათქვამებს, გაზპრომის სალახანასგან მეტ ზრდილობას არც არავინ მოელოდა, — აცხადებს ნუგზარ წიკლაური.

# ირაკლი ფირცხალავა: „გოჩა მაღალდაძე 2007 წელს ბიძინა კუჭავამ მოკლა ან მისი დაკვეთით მოკლეს“

## „მკვლელობის იარაღი კახა მისირელმა მიჰყიდა ბიძინა კუჭავას“



გოჩა მაღალდაძე 2007 წელს ბიძინა კუჭავამ მოკლა ან მისი დაკვეთით მოკლეს.

ამის შესახებ კრიმინალური პოლიციის ყოფილმა დირექტორმა, ირაკლი ფირცხალავამ 22 იანვარს კორტების სპეცოპერაციის საქმეზე სხდომის გადადებამდე განაცხადა.

ირაკლი ფირცხალავამ აღნიშნა, რომ იგი მზად არის პროკურორებს ჩვენება მისცეს 2007 წელს მომხდარი მკვლელობის ირგვლივ.

ფირცხალავას თქმით, მაღალდაძე მოკლულია სპეციფიკური იარაღით, რომელიც აჭარიდან გადაიტანეს 2004 წელს მოდულში და ამ იარაღს, რომელიც რუსული წარმოების არის, ერთი ცალი აკლდა, რომელიც, ფირცხალავას თქმით, სოდ-ის მაშინდელმა წარმომადგენელმა კახა მისირელმა კუჭავას მიჰყიდა.

— ეს იარაღი არის სპეციფიკური, თთშ ტიპის, რომელიც გრუ-ს გააჩნია. აჭარის რევოლუციის დროს იარაღის გარკვეული რაოდენობა გადმოიტანეს 2004 წელს მოდულის შენობაში და ინახებოდა საცავში. აღმოჩნდა, რომ მას ერთი ერთეული აკლდა. ამ პერიოდში კი, როგორც ვიცი, კახა მისირელმა წააგო კუჭავას კაზინოში და ვალის სანაცვლოდ მისირელმა ეს იარაღი მისცა კუჭავას, — განაცხადა ირაკლი ფირცხალავამ.

ირაკლი ფირცხალავა აცხადებს, რომ გოჩა მაღალდაძის მკვლელობის ადგილას იგი მცხეთის ქუჩაზე კრიმინალური პოლიციის დირექტორის სტატუსით ნამყოფია და ნანახი აქვს, რომ მაღალდაძე მოკლულია თავში სროლის შედეგად, მკვლელობის ადგილას კი ქვიშა იყო მოყრილი, რათა კრიმინალისტებს ხელი შეშლოდათ კვლების აღებაში.

ფირცხალავას თქმით, იმ პერიოდში ეჭვმიტანილთა სიაში რამდენიმე ადამიანი იმყოფებოდა, ერთ-ერთი იყო ბიძინა კუჭავა.

ფირცხალავამ გაიხსენა 2009 წელს გენერალ თამაზ ნინუას და მისი მეუღლის მკვლელობის ფაქტიც და აღნიშნა, რომ მაღალდაძის მკვლელობიდან ორი წლის შემდეგ ნინუებიც ზუსტად იგივე იარაღით არიან მოკლული, რითაც გოჩა მაღალდაძე, რომელიც, მისი თქმით, იმ პერიოდში ცნობილ მოთამაშედ ითვლებოდა.

ირაკლი ფირცხალავამ აღნიშნა, რომ ნინუების მკვლელობის ბრალდებით სასჯელს იხდის თამაზ გოგია, რომელიც, მისი თქმით, არის უდანაშაულო.

— მზად ვარ, მივცე პროკურორებს ჩვენება აღნიშნულთან დაკავშირებით, რათა ძიებაც გაადვილდეს და გაათავისუფლონ ბიზნესმენი თამაზ გოგია, რომელიც წლების განმავლობაში უდანაშაულოდ იხდის სასჯელს, — განაცხადა ირაკლი ფირცხალავამ.

ინტერპრესნიუსი

# ამერიკული პრესა სააკაშვილის წინააღმდეგ



გავლენიანი ამერიკული გამოცემა „Foreign Policy“ -ი, საქართველოს ექსპრეზიდენტისა და ოდესის ოლქის გუბერნატორის მიხეილ სააკაშვილის შესახებ მასალას აქვეყნებს, რომლის მიმოხილვას საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ:

— საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა უკრაინის ყველა პრობლემის გადაწყვეტისათვის ჯვაროსნული ლაშქრობა გამოაცხადა, მაგრამ ასეთი მოქმედება მხოლოდ დროებით ეფექტს მოიტანს. საჭიროა სიფრთხილის დაცვა.

ოდესის ოლქის გუბერნატორის მიხეილ სააკაშვილის მოქმედება, რომელიც ხშირად გამოდის უკრაინის მაღალჩინოსნების წინააღმდეგ მიმართული ბრალდებებით — „ყველანი კორუფციონერები ხართო“, ქვეყანას კორუფციასთან ბრძოლაში ვერ დაეხმარება, — ნათქვამია გავლენიანი ამერიკული ჟურნალის სტატიაში.

პუბლიკაცია, რომლის ავტორია ამერიკის ატლანტიკური საბჭოს უფროსი მეცნიერთანამშრომელი, პოლიტოლოგი ადრიან კარატნიცკი, მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკური კარიერის ასახვით იწყება:

— მიხეილ სააკაშვილი დაბრუნდა: მან თავისი სამშობლო საქართველო მას შემდეგ დატოვა, როცა ამომრჩევლებმა მის პარტიას უნდობლობა გამოუცხადეს, თვითონ კი პრეზიდენტობის ვადა ამოეწურა. მოგვიანებით მიხეილ სააკაშვილმა თავისი პოლიტიკური ბედი სხვა სათამაშო მოედანზე ჰპოვა — უკრაინაში. საქართველოს ექსპრეზიდენტმა უკრაინის მოქალაქეობა მიიღო და სწრაფად იქცა ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ პოლიტიკურ მოღვაწედ... და არცთუ უსაფუძვლოდ: იგი მამაცი და რიხიანია (თუმცა მოჩვენებითად), აქვს ენერგიის ამოუწურავი მარაგი, მაცდუნებელია — მან უკრაინელები სიღარიბისა და კორუფციის პრობლემების იოლად და სწრაფი მოგვარების დაპირებებით მოხიბლა.

გაგრძელება მე-7 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# გიორგი გაჩეჩილაძე: „ლევან ბერძენიშვილმა რეიტინგი აგვიწია“

გულიკო ბალაძე

**პარლამენტის წევრი და მწვანეთა პარტიის ლიდერი გიორგი გაჩეჩილაძე ეხმაურება რესპუბლიკელი დეპუტატის ლევან ბერძენიშვილის განცხადებას, რომ ის მხარს არ უჭერს კოალიციის გაფართოებას მწვანეთა პარტიით, თუმცა ამბობს, რომ საკითხი პოლიტსაბჭოს გადასაწყვეტია.**

– ლევან ბერძენიშვილისაგან ეს არც მწყენია და არც შეურაცხყოფად მიმიღია. თუ კიდევ გააგრძელებს ამგვარ რალაცეებს და შეურაცხყოფას, მწვანეთა პარტიისთვის ძალიან მომგებიანია, მისი რეიტინგი აიწევა, – განაცხადა „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში გიორგი გაჩეჩილაძემ.

***– რატომ უნდა იყოს თქვენი წინააღმდეგი ბატონი ლევანი?***

– სხვადასხვა ინტერვიუებში ის იმასაც აცხადებს, პირადად მე მწვანეთა პარტიასა და სოციალ-დემოკრატიულ პარტიას არ ვიცნობო (იცინის).

***– თქვენ ახლა გეცინებათ?***

– ცოტა სასაცილოა, მაგრამ გამიკვირდა. თუმცა, არა მგონია, ეს მისი პარტიის პოზიცია იყოს. ვფიქრობ, მისი სუბიექტური აზრია.

***– რატომ გაგიკვირდათ?***

– ლევან ბერძენიშვილისგან იმიტომ გამიკვირდა, რომ მწვანეთა პარტია არის კლასიკური ევროპული ორიენტაციის პოლიტიკური ორგანიზაცია – ერთ-ერთი პარტიაა საქართველოში, რომელსაც ევროპარლამენტში თავისი ფრაქცია ჰყავს. ბატონი ლევანი არის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე. ამიტომ გამიკვირდა. როგორ შეიძლება დაამციროო ის პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელსაც ასეთი სერიოზული გავლენა აქვს საერთაშორისო დონეზე? ამიტომ ლევან ბერძენიშვილის პოზიცია მარტო კი არ გამიკვირდა, კითხვის ნიშნებიც გამიჩნდა.

***– რა კითხვის ნიშნები გაგიჩნდათ?***

– ამაზე მერე ვისაუბროთ. ბატონ ლევანს ვურჩევ, თუ მას აინტერესებს მწვანეთა პარტიის შემადგენლობა, მისი განცხადების საპასუხო ინფორმაცია მწვანეთა პარტიის ფეისბუქზე დავდეთ.

***– არჩევნებზე დამოუკიდებლად რომ მოგიწიოთ გასვლა, რით აპირებთ საარჩევნო კამპანიის ჩატარებას?***

– როდესაც შეზღუდული გაქვს საინფორმაციო სივრცე და თანხებიც არ გაქვს იმდენი, რომ კონკურენცია გაუწიო, ერთადერთი ეფექტური გზა ყველა საარჩევნო ოლქში სერიოზული, კონკურენტუნარიანი მაჟორიტარების წარდგენაა.

***– თქვენ კვალიფიციური სუბიექტი არ ხართ და სახელმწიფოსაგან დაფინანსებას არ ღებულობთ?***

– არა, ჩვენ კვალიფიციური სუბიექტი არ ვართ. 2013 წელს ჩვენ და სოციალ-დემოკრატები დაფინანსების გარეშე დაგვტოვეს. ჩვენ არ გვაქვს დაფინანსება და არათანაბარი პირობებია.

***– ანუ საარჩევნო კოდექსი გასასწორებელია.***

– იმედია, გასწორდება. თუ კოალიცია „ქართულ ოცნებასთან“ იქნება კონსულტაციები, ძალიან კარგი, ჩვენ კონსულტაციებში ჩავერთვებით. თუ არადა, არჩევნებზე მარტო მოგვიწევს გასვლა.

***– შეთავაზება ვისი მხრიდან უნდა მოხდეს? კონსულტაცია როგორ იგეგმება?***

– ახლა ეს ცოტა რთული საკითხია. წინა პერიოდში, როცა ბლოკი არ იყო შექმნილი, იოლი იყო, ერთ პარტიასთან და მის ლიდერთან გვქონდა მოლაპარაკება. ახლა მრავალლიდერიანი კოალიციაა და ალბათ კოალიციურ რეჟიმში მოილაპარაკებენ, მაგრამ წამყვანი „ქართული ოცნებაა“.

***– მათთვის ცნობილია, რომ გსურთ თქვენი პარტიული სიით მიხვიდეთ კოალიციაში?***



– ჩვენ გვინდა ჩავერთოთ, როგორც ბლოკის სუბიექტი, რაც ჩვენთვის, რა თქმა უნდა, მისაღებია.

***– გინდათ თქვათ, რომ კოალიციას სჭირდებით თქვენი ევროპული გზით?***

– ვფიქრობ, წმინდა სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით ქვეყნისთვის არის საჭირო.

# „რაღა ბერძენიშვილის განცხადება და რაღა ენდიაის კვლევა“

შორენა მარსაგიშვილი

**„ქართულ ოცნებაში" კვოტების გადანაწილება აქტიურ ფაზაში შევიდა. ამ ეტაპზე კვოტებზე მხოლოდ პარტიის ლიდერები საუბრობენ. მთავარი მეოცნებე კი, რომლის სიტყვასაც კანონის ფასი ექნება, დუმილის უფლებას ინარჩუნებს. გავრცელებული ინფორმაციით, მდუმარე ბიძინას სია უკვე შედგენილი აქვს და ახლა მხოლოდ სეირს უყურებს.**

„ახალი თაობა“ უკვე წერდა, რომ კოალიციაში აღარ იქნებიან მრეწველები. როგორც სახელისუფლებო კულუარებში გვითხრეს, ამ საკითხთან დაკავშირებით პარტიის ლიდერმა გოგო თოფაძემ რამდენჯერმე სცადა ივანიშვილთან შეხვედრა, მაგრამ ჯერ ვერ მოახერხა.

ჩვენი წყაროს ინფორმაციით, მათი გარიყვის შესახებ გადაწყვეტილება ივანიშვილს რამდენიმე თვის წინ



## კვოტების გადანაწილებაზე რესპუბლიკელები ღრმა შოკში არიან

აქვს მიღებული. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, სასოწარკვეთილი მრეწველები ახლა ლეონიდ ჩერნოვეცკისთან მართავენ შეხვედრებს.

კიევის ყოფილი მერის ქართულ პოლიტიკაში გამოჩენა, როგორც ამბობენ, ივანიშვილს დიდად არ ეპიტნავება. აქედან გამომდინარე გამორიცხული არაა, კიდევ ერთხელ დაუტკბეს მრეწველებს.

მათთან შედარებით, კიდევ უფრო რთული მდგომარეობა აქვს ეროვნულ ფორუმს. როგორც ამბობენ, ისინი მთავარმა მეოცნებემ სამუდამოდ მოიცილა. ამაზე თავად ფორუმის წევრებიც საუბრობენ.

საარჩევნო სიის ფორმირება თებერვალში დასრულდება. მანამდე კი კოალიციაში შემავალმა სუბიექტებმა კვოტები უნდა გადაინაწილონ. ამ მომენტისთვის ის არის ცნობილი, რომ სიაში 51% პარტია „ქართულ ოცნებას“ ექნება. დარჩენილი 49% კი კოალიციაში შემავალმა პარტიებმა უნდა გაინაწილონ.

საინტერესოა, რომ ჯერ ისიც არაა ცნობილი, რამდენი პარტია იქნება კოალიციაში.

მწვანეების და სოცდეკების დამატების ამბავი რესპუბლიკელებს ჯერაც ვერ გადაუტანიათ. ამასობაში ვრცელდება ინფორმაცია, რომ მათ სიახლოვეს შესაძლოა „გირჩებიც“ ვიხილოთ.

გავრცელებული ინფორმაციით, „გირჩებს“ ივანიშვილის დეიდაშვილი უჩა მამაცაშვილი აფინანსებს.

ამ ინფორმაციებს გირჩელები უარყოფენ, სამაგიეროდ, ამტკიცებენ, რომ არჩევნებს ისინი მოიგებენ და ხელისუფლებაში უმრავლესობით მოვლენ.

* * *

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი თამაზ მეჭიაური ამბობს, რომ სიებთან დაკავშირებით ჯერ ფართომასშტაბიანი კონსულტაციები არ დაწყებულა. ის არ ფლობს ინფორმაციას, რომ საარჩევნო სიებში რესპუბლიკური პარტია მანდატების 25%-ს ითხოვს.

როგორც მეჭიაურმა „პირველ პრესკლუბში“ განაცხადა, კვოტები და საარჩევნო სიებში ადგილები კოალიციის შიგნით სამართლიანად უნდა გადანაწილდეს. კერძოდ, მისი შეფასებით, კოალიციაში შემავალ სუბიექტს უნდა ჰქონდეს მისი რეიტინგის შესაბამისი ადგილების რაოდენობა.

– თუ რომელიმე სუბიექტს გაცილებით დიდი მოთხოვნა ექნება, ვიდრე მისი რეიტინგია და კოალიციაში შემავალი სუბიექტები ვერ შეთანხმდებიან პროცენტულ თანაფარდობაზე, მაშინ ერთადერთი გამოსავალი რჩება. ყველა იმ პარტიას კი, რომელსაც გაცილებით მეტი მოთხოვნა აქვს, ვიდრე მისი რეიტინგია, მინიმუმ უნდა ჰქონდეს იმის გარანტია, რომ ის 5%-იან ზღვარს გადალახავს. თუ ვერ გადალახავს, მაშინ მას ფრაქციაც არ ეკუთვნის, – აღნიშნა მეჭიაურმა.

დეპუტატის განცხადებით, თუ ზოგიერთ სუბიექტს ფრაქციაზე მეტი უნდა, მაშინ შემდეგი პირობები უნდა დააკმაყოფილოს:

– უნდა წავიდეს დამოუკიდებლად, თუ მართლა თვლის, რომ იდეები აკავშირებს დანარჩენ სუბიექტებთან და არამხოლოდ მანდატების მოპოვების ინტერესი. გავიდეს იმ ოდენობით, რა ოდენობითაც ამომრჩეველი მას განუსაზღვრავს მანდატებს და შემდეგ, პარლამენტში მოხდეს ამ ბლოკში მისი შესვლა და უკვე იქ, იმ ბლოკიდან მოითხოვოს იმდენი, ხელისუფლების ის ნაწილი, რა ნაწილითაც ის შევა ამ ბლოკში, – აღნიშნა დეპუტატმა.

კვოტების გადანაწილებაზე დაპირისპირებას კატეგორიულად უარყოფს ფრაქცია „ქართული ოცნების“ ლიდერი გია ვოლსკი. ამასთან აღიარებს, რომ სამართლიანად კვოტების გადანაწილება ვერ მოხდება.

– კვოტები თანაბრად ვერ განაწილდება. ასე არც წინა არჩევნებზე მომხდარა. ვინ რა რაოდენობით იქნება წარმოდგენილი, შეთანხმების საფუძველზე გადაწყდება, – ამბობს გია ვოლსკი.

არსებულ დაპირისპირებას რესპუბლიკელებიც კატეგორიულად უარყოფენ. პარტიის ერთ-ერთი ლიდერი არც იმას ადასტურებს, რომ მისიანებმა სიაში 25% მოითხოვეს.

როგორც ჟურნალისტებთან საუბარში ლევან ბერძენიშვილმა განაცხადა, ამ ინფორმაციის მოსმენისას ის ღრმა შოკში ჩავარდა.

– აბსოლუტურად პირველად გვესმის რესპუბლიკელებს. ვარ ღრმა

**„ქართული ოცნება“ არჩევნების გაყალბებისთვის ემზადება“**



შოკში. ეს არის ზღაპარი, რომლის შესახებ მესმის ჟურნალისტებისგან, – აღნიშნა ბერძენიშვილმა.

* * *

ღრმა შოკში საზოგადოება ბერძენიშვილმაც ჩააგდო. ერს ჯერ ნახევარ მილიონ გაუთხოვარ ქალზე გაკეთებული მისი განცხადება მონელებული არ ჰქონდა, რომ სექსისტმა დეპუტატმა პოლიტიკური შოკიც გამოიწვია.

რამდენიმე დღის წინ მან განაცხადა, რომ „ქართული ოცნება“ არჩევნებს 73-ვე მაჟორიტარულ ოლქში მოიგებს.

მის წინასწარმეტყველებას დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი გიგლა ბარამიძე გამოეხმაურა. ის რესპუბლიკელს გაუმართლებელი განცხადებების გაკეთებაში ადანაშაულებს. ამის გარდა, ის შორსმიმავალ დასკვნებსაც აკეთებს.

მისი თქმით, ბერძენიშვილის განცხადებით ნათელი ხდება, თუ რატომ არ განახორციელა ხელისუფლებამ საარჩევნო ცვლილებები.

– საოცარი მადა აქვთ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს. ძალიან გაუტკბათ ხელისუფლებაში ყოფნა იმ კოალიციის ცალკეულ პარტიებს და მათ ლიდერებს, რომლებიც ერთი ადამიანის მილიარდებით არიან დღეს პარლამენტში, სხვა შემთხვევაში ისინი 1%-ს ვერ აიღებდნენ, ეს რატომღაც დაავიწყდათ, – ამბობს ბარამიძე.

აღშფოთებული ოპოზიციონერი რესპუბლიკელის განცხადებას 73 მაჟორიტართან დაკავშირებით ენდიაის კვლევებს ადარებს.

– ყველაზე ცუდი ის არის, რომ ეს განცხადება პოლიტიკურადაც გაუმართლებელი იყო მმართველი გუნდის ერთ-ერთი ლიდერისაგან და სხვა თუ არაფერი, არაეთიკურია, არჩევნებამდე 10 თვით ადრე რომ აანონსებს. რაღა ენდიაის კვლევები და რაღა ბერძენიშვილის განცხადება, – აღნიშნავს ოპოზიციონერი.

ბერძენიშვილის გაკეთებული განცხადებიდან გამომდინარე, ოპოზიციონერი ასკვნის, რომ ხელისუფლება რეგიონებში არჩევნების გაყალბებას აპირებს.

**გიგლა ბარამიძე:**

– ახლა უკვე ყველასთვის გასაგები ხდება და მან დაადასტურა კიდევაც, რატომ არ უნდოდა დღევანდელ ხელისუფლებას შეეცვალა ის საარჩევნო კანონი და კოდექსი, რომელიც ნაციონალურმა მოძრაობამ მიიღო, რომელსაც თავის დროზე ოპოზიციაში მყოფი „ქართული ოცნება“ თვითონ აკრიტიკებდა.

ისინი გაათრევენ მაჟორიტარებს უმრავლესობაში. ეს არის აღმაშფოთებელი და კიდევ ერთი პირდაპირი თუ არა ირიბი დასტური იმისი, რომ „ქართული ოცნება“ რეგიონებში განსაკუთრებით მაჟორიტარების არჩევნების გაყალბებას ეცდება, რომ გაიყვანოს ისევ ცოცხალი მკვდრები პარლამენტში და გაუგებარ კანონებზე აწიონ ხელი და გაიმყარონ თავიანთი პოზიციები.

ეს არის აბსოლუტურად გაუმართლებელი და საკმაოდ უმწიფარი განცხადება. მე ვფიქრობ, ამ განცხადებას ექნება გამოხმაურება ქართულ პოლიტიკურ სპექტრში.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# თორნიკე შარაშენიძე: „ივანიშვილი დილემის წინაშე დგას“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი თორნიკე შარაშენიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საპარლამენტო არჩევნების მთავარ აქცენტებსა და პოლიტიკური ძალების შესაძლებლობებზე საუბრობს.**



— კოალიციის შემადგენელ პარტიებს ინდივიდუალურად შანსი არ აქვთ. ეს მათ კარგად იციან და ამიტომ იქიდან წასვლას არავინ აპირებს თუ არ გაუშვეს. როგორც ვიცი, ივანიშვილი „ქართული ოცნების“ განახლებას აპირებს და საპარლამენტო სიებში უფრო მეტად გამოჩნდებიან დასავლეთში განათლება მიღებული პიროვნებები.

ეს კარგია, რადგან განათლების დეფიციტი არის ზოგადად, მაგრამ ამომრჩეველს შეიძლება ურჩევნია მისთვის კარგად ნაცნობი ჯაჭვლიანი, ვიდრე ევროპაში განათლება მიღებული უცნობი ადამიანი. ჯაჭვლიანი ვიღაცისთვის მაინც ავტორიტეტია.

ივანიშვილი ფიქრობს, რომ კოალიციის ავტორიტეტი კვლავ თავად იქნება და ისე დააკომპლექტებს საპარლამენტო სიას, როგორც ეს საჭიროა. ივანიშვილი დილემის წინაშე დგას: შემოიყვანოს მისი ერთგული ხალხი თუ ადამიანები, რომლებიც აზროვნებენ და შეეწინააღმდეგებიან კიდეც მას. რაც უნდა დაეცეს „ქართული ოცნების“ რეიტინგი, ის მაინც ამ არჩევნებზე წამყვანი ძალა იქნება, სხვადასხვა მიზეზის გათვალისწინებით.

***— კონკრეტულად?***

— მაგალითად, ადმინისტრაციული რესურსის, ივანიშვილის ფინანსების გათვალისწინებით. ამდენად, „ქართულ ოცნებას“ სერიოზული სასტარტო პოზიცია აქვს.

***— ექსპერტები ამბობენ, რომ „ქართულ ოცნებას“ სიის პირველი ნომრის პრობლემა აქვს. ვინ შეიძლება იყოს პირველი ნომერი?***

— რა მნიშვნელობა აქვს, კალაძე იქნება პირველი ნომერი თუ ღარიბაშვილი? ან კვირიკაშვილი? პირველი ნომერი მაინც ივანიშვილია. რამდენიმე მთავარ ფაქტორს გამოვყოფდი: ერთი, რამდენად აქვს ივანიშვილს ხალხში პოპულარობა შენარჩუნებული. მეორე — თუ „ოცნება“ მუშაობას გამოასწორებს, კვირიკაშვილის მმართველობის პირობებში ამის შანსი გაჩნდა, მაშინ შეიძლება ამომრჩეველმა კიდევ ერთი შანსი მისცეს ამ ხელისუფლებას. მესამე ფაქტორი კი არის ის, თუ რას იზამს ოპოზიცია. ოპოზიცია კი ჯერჯერობით არც არაფერს შვრება.

***— რას იზამენ ნაციონალური მოძრაობა, ალასანია და არასაპარლამენტო ოპოზიცია?***

— ჯერჯერობით არც ერთი ოპოზიციური ძალა არაფერს შვრება. ნაციონალური მოძრაობაც არავითარ საფრთხეს არ უქმნის „ქართულ ოცნებას“. საინტერესოა, არჩევნებამდე როგორ მივლენ ნაციონალური მოძრაობა და „ქართული ოცნება“. მნიშვნელოვანი არის 50%-იანი ბარიერი, რომელსაც ვერ გადალახავს ვერც ერთი კანდიდატი. ამიტომ შეიძლება ბევრ საარჩევნო ოლქში მეორე ტური დაინიშნოს.

***— ლევან ბერძენიშვილმა თქვა, 73-ივე მაჟორიტარულ ოლქს „ქართული ოცნება“ მოიგებსო. თუმცა, მერე დაამატა, ამას ქართველი ამომრჩეველი გადაწყვეტსო, მაგრამ, როგორც ჩანს, ასეთი განწყობა აქვთ ხელისუფლებაში.***

— ბევრ ოლქში მეორე ტური დაინიშნება. ლევან ბერძენიშვილი პოლიტიკოსია და ასეთი განცხადება სრულიად მისაღებია. ამაში უცნაური არაფერია.

***— ირაკლი ალასანიას პარტიის შანსები როგორია ამ არჩევნებზე. ის ამბობს, რომ არჩევნებს მოიგებს. რამდენად რეალურია?***

— საინტერესო განცხადებაა. არჩევნები რომ მოიგო, საჭიროა ქვეყნის მასშტაბით გამართული პარტიული ინფრასტრუქტურა, ასევე საჭიროა ფინანსები, რაც ალასანიას პარტიას ბევრი არ აქვს და ასევე საჭიროა ძლიერი ლიდერი. შეიძლება ალასანია არის ძლიერი ლიდერი და ეს ფაქტორი არის მის მხარეს. იმ განცხადებაში, რომ ის ამ არჩევნებს მოიგებს, უცნაური არაფერია, პარტიის ლიდერმა არჩევნების წინ ასეც უნდა ილაპარაკოს. ამაში თვითონაც უნდა იყოს დარწმუნებული და სხვებიც უნდა დაარწმუნოს, მაგრამ ფაქტების ანალიზი ანალიტიკოსების საქმეა.

***— ამ არჩევნებზე მთავარი კონკურენტები ვინ იქნებიან?***

— მაჟორიტარულ ოლქებში თბილისს გარეთ მთავარი კონკურენტები „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა იქნებიან. თბილისში მთავარი ბრძოლა იქნება „ოცნებასა“ და ალასანიას პარტიას შორის. ვნახოთ, რას იზამს პაატა ბურჭულაძე.

***— არის მისი დივიდენდი წარმატებული სასიმღერო კარიერა?***

— მნიშვნელობა არ აქვს, წარმატებით მღერი თუ ფეხბურთს თამაშობ, ჩვენ ვნახეთ, რომ საქართველოში წარმატებული ადამიანები უყვართ. მით უფრო, თუ ამ წარმატებას უცხოეთში აღწევ. თუმცა, ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ბურჭულაძის პოლიტიკური განცხადებები პირდაპირ ეთერში.

***— 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე პარტიები ერთი მიზნის ირგვლივ გაერთიანდნენ და ეს იყო სააკაშვილის მოცილება ხელისუფლებიდან. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები შეიძლება იყოს პროგრამების არჩევნები?***

— ჯერ კიდევ შორია პროგრამების შეჯიბრებამდე, შეჯიბრი იქნება, ვინ ვის რითი ჯობია. ასევე იქნება აქტუალური კომპრომატები და ერთმანეთის „გაშავება“. მართალია, ეს არჩევნები ჯერ კიდევ არ იქნება პროგრამების არჩევნები, მაგრამ ჩვენი საზოგადოება, მოსახლეობა გაცილებით წინ არის, ვიდრე ნებისმიერი პოსტსაბჭოთა ქვეყანა, ბალტიისპირეთის გამოკლებით. ჩვენთან მოხდა ის, რაც ჯერ არსად მომხდარა — სახელისუფლო ელიტა არჩევნებით შეიცვალა. სამწუხაროდ, ჩვენს მეზობელ ქვეყნებში ეს დიდხანს ვერ მოხდება. რუსეთზე საერთოდ არ მაქვს საუბარი.

# ალექსანდრე თვალჭრელიძე: „მთავრობას არ გააჩნია ფინანსური მექანიზმები, რომლებიც ლარს გააძლიერებს“

ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში ალექსანდრე თვალჭრელიძე ლარის კურსის ვარდნის რამდენიმე მიზეზს ასახელებს. როგორც თვალჭრელიძემ დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ლარის გაუფასურების როგორც საგარეო, ისე საშინაო მიზეზებია. მათ შორის, თვალჭრელიძე გაუფასურების ერთ-ერთ მიზეზად მთავრობის უმოქმედობას ასახელებს.

**ალექსანდრე თვალჭრელიძე:**

— ლარის კურსთან დაკავშირებით ოპტიმისტური მოლოდინები რამდენიმე მიზეზის გამო არ მაქვს. საერთაშორისო ეკონომიკური მდგომარეობა ლარისთვის სახარბიელო არ არის.

მეორე მიზეზი არის საშინაო მიზეზი, რომელიც გამოწვეულია იმისგან, რომ დღემდე უცნობია, თუ ვინ იქნება ეროვნული ბანკის პრეზიდენტი. ასეთ სიტუაციაში ეროვნული ბანკის სამეთვალყურეო საბჭო ფრთხილობს და არსებით ქმედით ზომებს არ მიმართავს

იმისთვის, რომ ლარი გააძლიეროს. მესამე მიზეზი არის ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარი — მთავრობის პასიურობა ეროვნულ ბანკთან მიმართებაში და მთავრობის მხრიდან არარსებობა იმ ფინანსური მექანიზმების, რომლებიც ლარს გააძლიერებს.

მისივე თქმით, მექანიზმები, რომლითაც ლარის კურსის დასტაბილურება შესაძლებელია, მარტივია.

**ალექსანდრე თვალჭრელიძე:**

— ეს მექანიზმები არის მარტივი. ფინანსთა სამინისტრომ და ეროვნულმა ბანკმა ერთობლივად, ძალიან შეწყობილად უნდა გააკონტროლონ ყოველდღიურად ფარდობა მიმოქცევაში მყოფი უცხოური ვალუტის და ეროვნული ვალუტის და შეამციროს მიმოქცევაში მყოფი ლარის ბანკნოტები, რაც თავის დროზე, 1998 წლის რუსეთის დეფოლტის შემდეგ გააკეთა ირაკლი მანაგაძემ და ლარის კურსი შეინარჩუნა.



ხისტი ქმედებებია მისაღები. ჩვენი ეკონომიკა ასეთ ქმედებებს ძალიან კარგად გაუძლებს, ხოლო მოსახლეობისთვის ეს იქნება შვება განსაკუთრებით კი მათთვის, ვისაც დოლარში სესხი აქვს აღებული.

მისივე თქმით, აბსოლუტურად არასწორია იმის ციტირება, რომ აზერბაიჯანული მანათი გაუფასურდა.

— პრეზიდენტმა ალიევმა სპეციალურად გააუფასურა მანათი იმისთვის, რომ რუსეთთან სავაჭრო ბალანსი დადებითი ჰქონდეს, — აღნიშნა ექსპერტმა.

**ინტერპრესნიუსი**

# ზურაბ ტყემალაძე: „ლარი კი არ გაუფასურდა, მოხდა დოლართან მიმართებაში გაცვლითი კურსის დაცემა“

— ლარი კი არ გაუფასურდა, მოხდა დოლართან მიმართებაში გაცვლითი კურსის დაცემა, — ამის შესახებ პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე ზურაბ ტყემალაძე აცხადებს, რომელიც ლარის გაუფასურებაზე საუბარს არასწორს უწოდებს.



— პირველ რიგში მინდა გითხრათ, რომ ლარი არ გაუფასურებულა. ლარის გაცვლითი კურსი დოლართან მიმართებაში დაეცა. იგივე კურსი აქვს შენარჩუნებული ევროსთანაც და სხვა ვალუტებთანაც. აქედან გამომდინარე, ლარი კი არ გაუფასურდა, მოხდა დოლართან მიმართებაში გაცვლითი კურსის დაცემა.

საიდან არის გამოწვეული?! რა თქმა უნდა, გამოწვეულია იმ გარე ფაქტორებიდან გამომდინარე, რაც მიმდინარეობს არა მარტო ჩვენს

გარშემო ქვეყნებში, არამედ მთელს მსოფლიოში. მაგალითისთვის შემიძლია მოვიყვანო, რა მდგომარეობაშია ნავთობის ფასი. მგონი სარეკორდო ნიშნულამდეა დასული. აქედან გამომდინარე, ეს სამწუხარო ფაქტია, მაგრამ რეალობა.

მისივე თქმით, ფასები მხოლოდ გარკვეულ პროდუქტზე გაიზარდა, გარკვეულ პროდუქტზე კი პირიქით — შემცირდა. ტყემალაძეს ამის მაგალითად ხილის ფასი მოჰყავს.

— ზამთარში, როცა ვაშლის ფასი 4-5 ლარი იყო, ნახეთ დღეს რა ფასია. იმ საქონლის ფასი, რომელიც იმპორტზეა მიბმული, გარკვეული ნაწილით არის გაზრდილი, მაგრამ პროდუქტის, რომელიც ადგილობრივ წარმოებაზეა მიბმული — არა. ამიტომ არის, რომ ქვეყანა უნდა ზრუნავდეს, რათა ბაზარი ადგილობრივი საქონელით იყოს დაკმაყოფილებული, ყოველ შემთხვევაში, ძალიან დიდი რაოდენობით მაინც. აქედან გამომდინარე, ჩვენი მიმართულებებიც სწორედ იმაზეა ორიენტირებული, რომ ადგილობრივ პროდუქციას შევუწყოთ ხელი, — აცხადებს ტყემალაძე.

**ინტერპრესნიუსი**

# რამდენი პროცენტით გაუფასურდება ლარი?



ბუნებაში არ არსებობს ადამიანი, რომელიც შეძლებს იმ კითხვაზე პასუხის გაცემას, თუ რამდენი პროცენტით გაუფასურდება ლარი, — ამის შესახებ ეკონომისტმა აკაკი ცომაიამ განაცხადა.

აკაკი ცომაია ეროვნული ვალუტის გაუფასურების მთავარ მიზეზად საქართველოს მთავარ საგარეო სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში მიმდინარე პროცესებს ასახელებს.

**აკაკი ცომაია:**

— მთავარი მიზეზი არის ის, რომ ჩვენი საგარეო სავაჭრო პარტნიორები არიან ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები და მაშასადამე, ეს არის დსთ-ს სივრცე.

ძირითადი სავაჭრო ბრუნვები, ექსპორტ-იმპორტის ოპერაციები ამ ქვეყნებში ხორციელდება. რეგიონში საკმაოდ მძიმე ეკონომიკური პრობლემებია, რაც უკავშირდება ნედლეულზე ფასების შემცირებას, მათ შორის, ლომის წილი აქ ნავთობპროდუქტებს უკავია.

იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთი და აზერბაიჯანი ჩვენი მსხვილი სავაჭრო პარტნიორებია და ამ ქვეყნებში ადგილობრივი ვალუტები უფასურდება, მცირდება მათი ეკონომიკები, ეს ჩვენი ექსპორტის მაჩვენებელზეც და სხვა წყაროებზეც აისახება, საიდანაც ხდება უცხოური ვალუტის შემოდინება, ანუ ჩვენთან უცხოური ვალუტის მიწოდება ასევე მცირდება, რის გამოც, შესაბამისად, ლარი უფასურდება.

ეკონომისტი მიიჩნევს, რომ ამ სიტუაციაში რეზერვის დახარჯვას აზრი არ აქვს, რადგან შედეგი არ ექნება.

**აკაკი ცომაია:**

— ეროვნული ვალუტის გაუფასურება ეს არ არის გამოწვეული ლარის გადაჭარბებული მიწოდებით, ან არასწორი ფისკალური პოლიტიკით, ამდენად რეზერვის დახარჯვას არანაირი აზრი არ აქვს, რადგან შედეგი არ ექნება. ანუ ამან რაღაცა პერიოდის განმავლობაში შეიძლება პროცესი ცოტა ხნით შეაჩეროს, მაგრამ კურსი საბოლოო ჯამში, მაინც გაუფასურდება, ან იქნება ისეთი, როგორც არის.

ამასთან, აკაკი ცომაია მიიჩნევს, რომ მოკლევადიან პერიოდში მთავრობამ მნიშვნელოვნად უნდა შეამციროს ხარჯვა და საზოგადოებრივი დანაზოგების ფორმირებაზე გადავიდეს.

— ლარის ხარჯვის მოცულობები უნდა შემცირდეს საზოგადოებაში. ეს მოკლევადიან პერიოდში ლარის შემდგომი გაუფასურების პროცესს შეაჩერებს. გრძელვადიან პერიოდში ჩვენი „აქილევსის ქუსლი“ არის ის, რომ ჩვენ მთალიანად ვართ დამოკიდებული პოსტსაბჭოთა ქვეყნების ბაზრებზე, უნდა მოხდეს დივერსიფიკაცია და რამენაირად უნდა გადავერთოთ ევროკავშირისა და სხვა ქვეყნების ბაზარზე, რომლებიც მეტნაკლებად სტაბილურები არიან, — განაცხადა ცომაიამ.

იგი მიიჩნევს, რომ გაუფასურება შეიძლება გაგრძელდეს, თუმცა ეკონომისტი ამ მიმართულებით ისეთ მნიშვნელოვან ცვლილებებს არ ელოდება, რომელსაც უკვე ადგილი ჰქონდა.

**აკაკი ცომაია:**

— ვფიქრობ, რომ მოსახდენი უკვე მოხდა. ყველაზე მთავარი ჩვენ უკვე გავიარეთ და გადავიტანეთ. ის რაც მოხდა, ეს, ფაქტობრივად, ნიშნავს, რომ ჩვენ რეალური შემოსავლის დიდი ნაწილი დავკარგეთ.

როგორც ჩანს, ნეგატიური ფუნდამენტალური ფაქტორები, ისევ ჩვენ საწინააღმდეგოდ მოქმედებს, ჯერჯერობით ეს ტენდენცია გრძელდება, მაგრამ იმ მასშტაბით ლარს აღარ გააუფასურებს.

რამდენი პროცენტით გაუფასურდება, სად იქნება საბოლოო წერტილი, როდესაც აღარ დაიწყებს გაუფასურებას — ბუნებაში არ არსებობს ადამიანი, რომელიც შეძლებს ამ კითხვებზე პასუხის გაცემას.

**ინტერპრესნიუსი**

# ლარმა გაუფასურების ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია



ლარმა გაუფასურების ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია საქართველოში დოლართან მიმართებაში ლარის გაუფასურების ისტორიული მაქსიმუმი დაფიქსირდა. საქართველოს ეროვნულმა ვალუტამ გაუფასურება 1998 წლის დეკემბრიდან დაიწყო და 1999 წლის 23 თებერვალს 1 აშშ დოლარის ფასმა მაქსიმალურ ნიშნულს — 2.45 ლარს მიაღწია, თუმცა ეს კურსი ორ დღეში 2.39-მდე ჩამოვიდა, 27 თებერვალს — 2.35-მდე, ხოლო წლის ბოლოს 1.93-ზე დასტაბილურდა.

მას შემდეგ ლარის კურსს გაუფასურების ასეთ მაჩვენებლამდე არ მიუღწევია, დღეს კი, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ახალი გაცვლითი კურსის მიხედვით, 1 ამერიკული დოლარის ოფიციალური ღირებულება 2.4694 ლარი გახდა.

**ინტერპრესნიუსი**

# ანზორ აბრალავა: „დიდმა ფულმა ნორმალური პარტიები პოლიტიკიდან განდევნა“

## „მმართველ კოალიციაში შემავალი პარტიების ყოყლოჩინობა გამაღიზიანებელია“

მარიამ მჭედლიშვილი



**საპარლამენტო არჩევნებამდე ცხრა თვეა დარჩენილი, თუმცა, არსებობს მოსაზრება, რომ ქვეყანაში ნორმალური წინასაარჩევნო პროცესი არ მიმდინარეობს. ყოფილი დეპუტატი, ორგანიზაცია „სოლიდარობის" თავმჯდომარე ანზორ აბრალავა „ახალ თაობასთან" ინტერვიუში აცხადებს, რომ საზოგადოებას დიდი არჩევანი არ გააჩნია. ამის გამო ხალხი სრულ გაურკვევლობაშია.**

**ანზორ აბრალავა:**

— საუბედუროდ, აქტიური პოლიტიკური პარტიები არ იძლევიან არჩევანის გაკეთების საშუალებას. ეს პოლიტიკური ძალები პარტიებად კი არა, საარჩევნო ბიზნესსუბიექტებად ჩამოყალიბდნენ. მათ თითქმის არაფერზე არ გააჩნიათ საკუთარი ხედვა, კონცეფციები, იდეები, მკაფიო პოზიციები და კეთილსინდისიერება. ამ პარტიებისთვის მნიშვნელოვანია მხოლოდ რეგიონული და მსოფლიო კონიუნქტურა. ეს პარტიები მხოლოდ ლოზუნგებს გაიძახიან. მაგალითად, დასავლურ ორიენტაციაზე, მაგრამ ისინი იმისთვისაც კი არ არიან მზად, რომ აიღონ პასუხისმგებლობა ამ საკითხზე. ზოგ პარტიას პრეტენზიებიც არაადეკვატური აქვს.

***— კონკრეტულად?***

— რესპუბლიკური პარტიის ლიდერებმა ამ დღეებში ახალი ამბიციები გამოავლინეს და დაიწყეს აპელირება პარტიის ასაკზე. ეს პარტია რომ 35 წლისაა, ეს არ ნიშნავს, რომ მას ქვეყნის წინაშე ღვაწლი მიუძღვის. მათი საქმიანობა კონიუნქტურული და ბუნდოვანი იყო. რესპუბლიკელები ხან ვის მიეკედლებოდნენ და ხან — ვის. მათ ახლაც საკუთარი მდგომარეობა აინტერესებთ.

***— საერთოდ, „ქართული ოცნების“ კოალიციის სიაზე დიდი ხმაურია ატეხილი.***

— სამწუხაროდ, ეს აქციეს მთავარ პრობლემად. საერთოდ, კოალიცია იქმნება იმ პარტიებისგან, რომლებიც დამოუკიდებლად საქმიანობენ და გარკვეულ შედეგებს აღწევენ არჩევნებზე. ეს კოალიცია შეაკოწიწეს იმ ძალებისგან, რომლებიც კოალიციის გარეშე არაფერს წარმოადგენენ. საარჩევნო სია არ უნდა იქცეს თვითმიზნად. სია საჭიროა იმისთვის, რომ ქვეყნისათვის აუცილებელი იდეები გაატარო.

ამ კონტექსტში დაიწყო საუბარი იმაზე, თუ რომელი პროფესიის ადამიანები უნდა იყვნენ საკანონმდებლო ორგანოში. ასეთი დაყოფა სწორი არ არის. პოლიტიკური საქმიანობა, საკუთარი დასაბუთებული აზრების გამოხატვა მსახიობსაც უნდა შეეძლოს და ინჟინერსაც. აბა, საპარლამენტო და სამთავრობო ფაკულტეტები არ არსებობს. საბჭოთა დროს ისტორიის ფაკულტეტს ეძახდნენ სარაიკომომდივნოს, იმიტომ, რომ რაიკომის მდივნები ხდებოდნენ ისტორიკოსები.

***— „ქართული ოცნება“ 2012 წლიდანაა ხელისუფლებაში. მის წარმომადგენლებს საკუთარი იდეები და ხედვები არ გამოუხატავთ?***

— ამ კოალიციაში ლიდერებისა და იდეების დეფიციტია. ეს ხალხი მთლიანად ბიძინა ივანიშვილზეა დამოკიდებული. ბოლო დროს საინტერესო ხედვები წარმოადგინა ახალმა პრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა. ისინი ეხება მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერას, საგადასახადო რეფორმას, მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობას. ამას მივესალმები, მაგრამ ამ წინადადებების გატარებას სჭირდება ერთიანი მყარი კურსი, მკაფიო პოლიტიკა. ეს საჭიროებს ფუნდამენტურ ცვლილებებს რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობის და სხვა სფეროებში. საუბედუროდ, ჯერჯერობით, ერთიანი პოლიტიკა არ იკვეთება. პოლიტიკური არენა გადაქცეულია არა აზრთა ჭიდილის ადგილად, არამედ მერკანტილური ინტერესების გატარების საშუალებად.

***— პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე აცხადებს, რომ არჩევნებში მეორე ადგილისთვის იბრძოლებენ ნაციონალური მოძრაობა და თავისუფალი დემოკრატები.***

— ჩემი აზრით, ყველა პირველი ადგილისთვის იბრძოლებს. ალბათ, ჩამოყალიბდება მეორე პოლიტიკური ცენტრი.

***— მეორე პოლიტიკურ ცენტრში ვინ მოიაზრება?***

— ამ ცენტრში არავითარ შემთხვევაში არ მოიაზრება ნაციონალური მოძრაობა. ეს პარტია კრიმინალური ცენტრია და არა — პოლიტიკური. ღირსეული ადამიანები არიან ალასანიას თავისუფალ დემოკრატებშიც. მომხრეები ჰყავთ პატრიოტთა ალიანსსა და ნინო ბურჯანაძის პარტიას. პოლიტიკური ცენტრი რომ შეიქმნას, ამისთვის დაფინანსებაცაა საჭირო. ბოლო წლებში დიდმა ფულმა განდევნა ნორმალური პარტიები პოლიტიკიდან.

***— პირველ პოლიტიკურ ცენტრს „ქართული ოცნება“ შეადგენს?***

— დიახ, ოღონდ ეს არაა კლასიკური კოალიცია. ხანდახან კოალიცია იქმნება იმისთვის, რომ შეინიღბოს ერთპარტიულობა. საზოგადოებისათვის ძალიან გამაღიზიანებელია ის, რომ ამ კოალიციის წევრი პარტიები ყოყლოჩინობენ საკუთარი არარსებული რეიტინგებით და მუდმივად თავს იქებენ. მათი ტრაბახი ასე იშიფრება — აბა, მოგვერიეთ მე და ბიძინა ივანიშვილსო.

გამაღიზიანებელია ასევე იმ პოლიტიკოსებისა და პარტიების მუდმივი სატელევიზიო პროპაგანდა, რომლებსაც ქვეყნის წინაშე საბედისწერო შეცდომები აქვთ დაშვებული. ასეთი პარტიაა ედპ. ნაცმოძრაობაშიც არაერთი ლიდერია ისეთი, რომელსაც დანაშაული აქვს ჩადენილი არა მარტო სააკაშვილის რეჟიმის დროს, არამედ 90-იან წლებში და შემდგომ პერიოდში. ქვეყანაზე გულშემატკივარი ადამიანები ამაზე ხუმრობენ, ჩემი ტელევიზორი გაფუჭებულია, სულ ერთსა და იმავე სახეებს აჩვენებსო.

# გიორგი კვირიკაშვილი: „საქართველო რომ ევროპული სახელმწიფო გახდეს, ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი“



საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი ევროპარლამენტს ევროკავშირთან საქართველოს ასოცირების პროცესის მხარდამჭერი რეზოლუციის მიღებისთვის მადლობას უხდის.

ევროპარლამენტის რეზოლუციასთან დაკავშირებით გავრცელებულ განცხადებაში პრემიერი აღნიშნავს, რომ ასოცირების შეთანხმების ეფექტიანი განხორციელება საქართველოს ხელისუფლების უპირველესი პრიორიტეტია.

**გიორგი კვირიკაშვილი:**

— განსაკუთრებით ვაფასებთ ევროპარლამენტის მიერ საქართველოს, მოლდოვისა და უკრაინის ევროპული პერსპექტივის დადასტურებას ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების 49-ე მუხლის თანახმად.

ასოცირების შეთანხმების ეფექტიანი განხორციელება საქართველოს ხელისუფლების უპირველესი პრიორიტეტია. თუმცა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ასოცირების შეთანხმება არ არის ჩვენი პროგრესული ურთიერთობების საბოლოო ეტაპი და კიდევ ბევრის მიღწევა შეგვიძლია ამ მიმართულებით.

მადლობას ვუხდით ევროპარლამენტარებს საქართველოსთვის სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის პროცესში მტკიცე მხარდაჭერისთვის. როგორც ევროკომისიის ანგარიშშია აღნიშნული, საქართველომ წარმატებით შეასრულა სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა, ზოგიერთი მიმართულებით კი გასცდა დადგენილ მოთხოვნებს.

ველით, რომ უახლოეს მომავალში ევროკავშირი მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას საქართველოსთან უვიზო რეჟიმის შემოღებასთან დაკავშირებით, რაც ხელშესახებ სარგებელს მოუტანს საქართველოს მოქალაქეებს და ასევე, მეტ შესაძლებლობას მისცემს ბიზნესსაზოგადოებას, განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო მეწარმეებს, მაქსიმალური სარგებელი მიიღონ ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობით.

გიორგი კვირიკაშვილი ასევე მადლიერებას გამოხატავს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი ევროპარლამენტის ურყევი მხარდაჭერისათვის, რაც ასახულია სხვადასხვა რეზოლუციაში და კიდევ ერთხელ დადასტურდა.

**გიორგი კვირიკაშვილი:**

— მე სრულად ვიზიარებ ევროპარლამენტის მოწოდებას, ყველა პოლიტიკური პარტიის მიმართ პოლარიზაციის შემცირების აუცილებლობასთან დაკავშირებით. პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის რანგში პარლამენტის წინაშე ჩემი პირველი გამოსვლისას, სწორედ მსგავსი განცხადებით მივმართე როგორც მმართველ კოალიციას, ისე — ოპოზიციას და ამ პრინციპის ერთგული დავრჩები.

როგორც მმართველი პოლიტიკური ძალა, ჩვენ მზად ვართ ყველაფერი გავაკეთოთ, რათა თავიდან ავიცილოთ პოლიტიკური დაძაბულობა ქვეყანაში და ვიმედოვნებთ, რომ ოპონენტები გამონახავენ ჩვენთან თანამშრომლობის გზებს ისეთ ძირითად საკითხებზე, რომლებიც გადამწყვეტია ჩვენი ქვეყნის განვითარებისა და ეროვნული ინტერესების დაცვისთვის.

ჩვენი მთავრობის ძირითადი პრიორიტეტია 2016 წლის არჩევნების თავისუფალ, ღია და გამჭვირვალე გარემოში ჩატარება, რაც კიდევ ერთხელ დაამტკიცებს ჩვენი დემოკრატიის სიმწიფეს.

გიორგი კვირიკაშვილი განცხადებაში ასევე ხაზს უსვამს საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებულ დემოკრატიულ რეფორმებს, რომელთა ძირითად პრიორიტეტს სასამართლო სისტემის, მათ შორის, მთავარი პროკურატურის ყოვლისმომცველი რეფორმა წარმოადგენს.

— ოთხეტაპიანი სასამართლო რეფორმის მიზანი იყო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დეპოლიტიზება, გამჭვირვალობის გაზრდა, საზოგადოებისა და მედიისათვის სასამართლო სხდომების გასაჯაროების გზით და მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნის შემოღება.

რაც შეეხება რეზოლუციაში პროკურატურასთან დაკავშირებით დაფიქსირებულ პრობლემატურ საკითხებს, მათ შორის ანგარიშვალდებულებისა და შერჩევითობის გაუმჯობესების მიზნით, უკვე განხორციელდა შესაბამისი ძალისხმევა.

2015 წლის შემოდგომაზე პარლამენტის მიერ მიღებული კანონის თანახმად, ჩამოყალიბდა გენდერულად დაბალანსებული, 15-წევრიანი საპროკურორო საბჭო, რომელიც დაკომპლექტებულია კოლეგების მიერ არჩეული პროკურორებით და საკანონმდებლო, სასამართლო და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლებით.

აღსანიშნავია, რომ კანონპროექტზე მუშაობისას საქართველოს იუსტიციის სამინისტრო მჭიდროდ თანამშრომლობდა ვენეციის კომისიასთან და კანონპროექტის პარლამენტში წარდგენამდე, კომისიის ექსპერტთა მიერ შემუშავებული 37 რეკომენდაციიდან 35 გაითვალისწინა.

ანალოგიურად, წინასწარი პატიმრობის გამოყენებასთან დაკავშირებით, განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებები საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების შესაბამისად. კერძოდ, გატარებული რეფორმის მიხედვით, წინასწარი პატიმრობის გახანგრძლივების შემთხვევებში, დაინერგა ხშირი, პერიოდული და ავტომატური სასამართლო განხილვები. ამასთანავე, 9 თვემდე შეიზღუდა წინასწარი პატიმრობის მაქსიმალური ვადა, რომლის გახანგრძლივება ახალი ბრალდების წაყენების შემთხვევაშიც შეუძლებელი გახდა.

გიორგი კვირიკაშვილი ასევე საუბრობს მედიის თავისუფლებასა და პლურალიზმზე და აღნიშნავს, რომ ეს ღირებულებები, რომლებიც დემოკრატიის მთავარ საყრდენს წარმოადგენს, 2012 წლიდან დღემდე ხელისუფლების დემოკრატიული რეფორმების დღის წესრიგის პრიორიტეტია.

**გიორგი კვირიკაშვილი:**

— ამჟამად, საქართველოში მედიასივრცე ისეთივე თავისუფალია, როგორც ბევრ სხვა შემდგარ დემოკრატიულ სახელმწიფოში.

ჩვენ, საქართველოს ყველა მოქალაქე, ვსარგებლობთ პლურალისტური მედიაგარემოთი, რომელიც თავისუფალია ყოველგვარი ზეწოლისა და პოლიტიკური ჩარევისგან.

რაც შეეხება სატელევიზიო არხ „რუსთავი 2“-თან დაკავშირებულ დავას, რომელმაც წარმოშვა გარკვეული კითხვები ქართულ საზოგადოებაში და ქვეყნის ფარგლებს გარეთ, ჩვენ გავაკეთეთ ყველაფერი იმისთვის, რომ არ შელახულიყო კანონიერი საკუთრების უფლება, რომელიც დემოკრატიის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია, და სასამართლო პროცესი ყოფილიყო დამოუკიდებელი, გამჭვირვალე და თავისუფალი ნებისმიერი პოლიტიკური ჩარევისგან.

იმისთვის, რომ საქართველო გახდეს ჭეშმარიტად ევროპული სახელმწიფო, ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. ამ პროცესში, მნიშვნელოვანია, რომ ევროპარლამენტმა განაგრძოს საქართველოს მიერ ასოცირების დღის წესრიგის განხორციელებაში მიღწეული პროგრესის მონიტორინგი და კვლავაც დარჩეს ჩვენს მტკიცე მხარდამჭერად.

**ნიუსპრესი**

## ზვიად კვაჭანტირაძე: საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ შავმა პიარმა მაინც გამოჟონა



საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის, ზვიად კვაჭანტირაძის განცხადებით, ის შენიშვნები, რომელიც ევროპარლამენტის მიერ მიღებულ რეზოლუციაში აისახა, ოპონენტების ძალისხმევით მოხვდა.

უმრავლესობის ლიდერი კრიტიკის უკან მხოლოდ ევროპის სახალხო პარტიას ხედვას.

ამის მიუხედავად, კვაჭანტირაძე აცხადებს, რომ დოკუმენტი საკმაოდ დაბალანსებულია.

**ზვიად კვაჭანტირაძე:**

— ძირითადად ევროპის სახალხო პარტიის აქტიურობით იყო გაჟღერებული უამრავი კრიტიკა საქართველოს მისამართით. დარწმუნებული ვიყავი, რომ ამ კრიტიკას ევროპარლამენტი არ გაიზიარებდა, მაგრამ საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ შავმა პიარმა მაინც გამოჟონა, ისევ ჩვენი კოლეგებისგან, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩართულები შავი პიარის ფორმირებაში.

დარწმუნებული ვიყავი, რომ ასეთი ცუდი ტექსტი ვერ გავიდოდა და ვიცით, რომ საბოლოოდ შეჯერებული ვარიანტი არის დაბალანსებული და ძალიან კარგი დოკუმენტი.

**ნიუსპრესი**

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# მიხეილ დონდუა: „ეროვნულ ბანკს 1 მილიარდი დოლარის დაზოგვა შეეძლო“

## „ლარი აღარ გაუფასურდება“

ნონა ცაბაძე



**ბოლო დღეებში ლარმა ისევ დაიწყო გაუფასურება. რა ტენდენციები შეინიშნება, არის თუ არა სიტუაციის გაუარესების საფრთხე? ამ და სხვა კითხვებზე „ახალ თაობას" ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში მიხეილ დონდუა პასუხობს.**

***— ბატონო მიხეილ, არის სიტუაციის გაუარესების საფრთხე?***

— მწვავე რეგიონალური პრობლემაა ვალუტასთან დაკავშირებით. მთელს ჩვენს სამეზობლოში არის უმწვავესი პრობლემა: აზერბაიჯანის, თურქეთის, უკრაინის, რუსეთის, დსთის სივრცის, თვით ევროს გაუფასურება. ეს ყველაფერი ის საგარეო ფაქტორებია, რომლებიც აუცილებლად გამოიწვევდა და იწვევს ლარის გაუფასურებას. თუმცა ამ ფონზე არ არის ლარი ისე გაუფასურებული, როგორც ჩვენი პარტნიორი ქვეყნების ვალუტები.

***— ჩვენ ამ ქვეყნებთან შედარებით უკეთეს სიტუაციაში ვართ?***

— რასაკვირველია. ჩვენ ამ შემთხვევაში მათზე უარეს მდგომარეობაში არ ვიმყოფებით ამ ვითარებაში, თუმცა ეს არ არის გასამართლებელი საბუთი და ერთადერთი მიზეზი, რომელსაც შესაძლოა მივანდოთ ლარის დღევანდელი კურსის საკითხი.

***— აქვს ეროვნულ ბანკს იმის ბერკეტი, რომ კურსი დაარეგულიროს?***

— ეროვნულ ბანკს ნამდვილად აქვს კურსის დარეგულირების ბერკეტი, ისე, რომ თავისუფალი მცურავი კურსის რეჟიმი არ შეცვალოს და ჩაატაროს ისეთი მოქმედებები, რაც დადებითად იმოქმედებს კურსზე და მის სტაბილიზაციაზე. მას ამის თაობაზე სავალუტო ფონდიც აძლევდა რეკომენდაციებს 2014-2015 წლებში, თუმცა მან ეს არ განახორციელა.

***— რატომ არ გამოიყენა ეროვნულმა ბანკმა ეს ბერკეტები და რატომ არ განახორციელა ის, რასაც სავალუტო ფონდიც მოითხოვდა?***

— ჩვენ შეგვიძლია პოლიტიკურად განვიხილოთ ეს საკითხი. ეს მიზანმიმართულად გააკეთა, მისი არაპროფესიონალიზმის ბრალია, იჯიუტა თუ რა მოხდა, ეს სხვა საკითხია. უბრალოდ ვიტყვი, მას რა უნდა გაეკეთებინა და დასკვნები საზოგადოებამ გამოიტანოს.

***— რა რეკომენდაციებს აძლევდა სავალუტო ფონდი ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობას?***

— პირველი, რასაც ეუბნებოდა სავალუტო ფონდი, ეს იყო სამომხმარებლო სესხების შეზღუდვა. საქართველოში კომერციული ბანკები ისე გასცემენ სესხებს, რომ შემოსავლების დადასტურებაც კი არაა სავალდებულო. პირდაპირ უგზავნიან მესიჯებს, რომ შემოსავლების დადასტურების გარეშე მოგცემთ ამა თუ იმ სახის სესხს. ასეთ პირობებში წარმოიქმნა ჭარბი დაკრედიტება სამომხმარებლო სექტორში. ანუ ისეთ სექტორში, რომელიც ეროვნულ ეკონომიკას კი არ ქმნის, მოხმარებას და საექსპორტო შესყიდვებს ასტიმულირებს.

***— რატომ?***

— იმიტომ, რომ ჩვენ ამ სესხით ვაშლს, კარტოფილს და ყურძენს კი არ ვყიდულობთ, რომელსაც საქართველოში ვაწარმოებთ. ჩვენ ამ სამომხმარებლო სესხით ვყიდულობთ გრძელვადიანი მოხმარების საგნებს, რომლებიც საქართველოში წარმოებული არაა.

***— ამ პროცესმა რა განაპირობა?***

— როდესაც ჭარბი სტიმულირება მოხდა სამომხმარებლო სექტორის, ფიზიკური პირების დაკრედიტების, მოსახლეობას პრობლემები ექმნება სესხის მომსახურებისას. სიმძიმის ცენტრი გადმოწეულია ამ მიმართულებით და არა — ბიზნესის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და ადგილობრივი წარმოების დაკრედიტებით. ასეთ პირობებში ეს დამატებით სერიოზულ დარტყმას აყენებს ლარის კურსს.

***— უფრო მცირე სახით უნდა გაცემულიყო ამ ტიპის სესხები?***

— რასაკვირველია! უფრო მეტი სტიმული უნდა მისცემოდა ბიზნეს სესხებს, უფრო მეტი შეზღუდვა — სამომხმარებლო სესხებს. ეს არის სავალუტო ფონდის რეკომენდაციები.

***— კიდევ რა სახის რეკომენდაციები იყო, რომლებიც არ გაითვალისწინა ეროვნულმა ბანკმა?***

— კიდევ იყო სავალუტო რისკებისგან დაუზღვეველი მოქალაქეებისთვის უცხოურ ვალუტაში სესხის მიცემის შეზღუდვა. ეს კურსის დევალვაციის შემთხვევაში, ურთულეს მდგომარეობაში აყენებს მომხმარებელს.

***— სხვა რა პრობლემებს ქმნის ქვეყანაში?***

— ყველაფერი ეს კი ხელს უწყობს დოლარიზაციის პროცესს, ხელს უწყობს იმას, რომ მოსახლეობას უმძიმეს ტვირთად აწვება სესხი და ხელს უწყობს ფულის ჭარბ მიწოდებას იმ მიმართულებით, რომელიც საიმპორტო შესყიდვებს ასტიმულირებს, ქვეყნიდან ვალუტის გადინებას იწვევს და კურსს აუფასურებს.

რეალურად რომ შეესრულებინა ეროვნულ ბანკს სავალუტო ფონდის რეკომენდაციები, 1 მილიარდი დოლარის დაზოგვის საშუალება მოგვეცემოდა. 1 მილიარდი დოლარით ნაკლები გავიდოდა ქვეყნიდან.

***— ეს იყო მიზანმიმართული პროცესი, ხელი მოითბო მავანმა ამ პროცესით, თუ რა რა მოხდა რეალურად? რატომ არ შესრულდა ეს რეკომენდაციები?***

— მე არ მაქვს პოლიტიკური ნდობა ეროვნული ბანკის დღევანდელი ხელმძღვანელობის მიმართ. ვთვლი, რომ ის არის ადეიშვილის საკადრო პოლიტიკის პროდუქტი!

***— მთლიანად ეროვნული ბანკი?***

— ეროვნული საბჭოს უმრავლესობა, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი და ვიცე– პრეზიდენტები არის ადეიშვილის საკადრო გადაწყვეტილებების შედეგი. პროკურატურა მართავდა აქამდე ეროვნულ ბანკს და ეროვნული ბანკი გამოიყენებოდა როგორც ინსტრუმენტი, ძალადობის ინსტრუმენტი დანარჩენი ბანკების წინააღმდეგ.

შესაბამისად, რადგან პოლიტიკური ნდობა არ არსებობს ამ პირების მიმართ, შეიძლება ვისაუბროთ, რომ ნაბიჯები, რომლებიც მათ უნდა გადაედგათ, არ გადადგეს და ეს ყველაფერი გააკეთეს განზრახ!

***— ქადაგიძის წასვლამდე ერთი თვე რჩება. საუბარია, რომ ის ამ პერიოდში სიტუაციის გამოსწორებას ვერ შეძლებს. რამდენად შეუძლია სიტუაცია კიდევ უფრო დაამძიმოს?***

— დღეს კურსი საკმარისად გაფუჭებულია. მე ლარის განსაკუთრებულ გაუფასურებას არ ველოდები. ლარი 2 და 40-ის მიდამოში იმოძრავებს. ახლა არის ამ მიდამოს ყველაზე მაქსიმალურ ნიშნულზე, რომელიც ექვემდებარება დარეგულირებას. ეს დროებითი მოვლენაა.

***— ანუ ამაზე ზევით არ გაიქცევა კურსი?***

— დიახ, ასე მიმაჩნია. ყველა უწყების განაცხადი მიუთითებს იმაზე, როგორც ადგილობრივი ბიზნეს წრეების, ისე საერთაშორისო ორგანიზაციების, რომ ლარის შემდგომი და მკვეთრი გაუფასურება მოსალოდნელი არ არის. შეიძლება ხდებოდეს კურსის მერყეობა, მაგრამ ეს დროებითი მოვლენაა და დარეგულირებას, დასტაბილურებას ექვემდებარება. ეს სურათი ჩანს დღეს და დაველოდოთ მოვლენების განვითარებას.

ლარის გაუფასურების ფუნდამენტალური ფაქტორები არ არსებობს. არსებობს საგარეო ფაქტორი, რომელიც ასახულია კურსში და არსებობს ეროვნული ბანკის ფაქტორი, რომელსაც შეუძლია გადადგას ადეკვატური ნაბიჯები და ის ამას არ აკეთებს.

***— თქვენთვისაც ცნობილია, რომ იცვლება ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, ვრცელდება ინფორმაცია, რომ თქვენი კანდიდატურაც განიხილება. ასეა?***

— არა, ეს არ შეესაბამება სინამდვილეს. არც ვყოფილვარ კანდიდატი, არც ვარ და არა მგონია, ამ კუთხით რაიმე შეიცვალოს.

***— რა პრინციპებით უნდა შეირჩეს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, რა გადაწყვეტილებას მიიღებს საქართველოს პრეზიდენტი?***

— პირველ რიგში, პოლიტიკური კითხვის ნიშნები მას არ უნდა ჰქონდეს. შეუძლებელია, მტრულად განწყობილი პოლიტიკური ორგანიზაციის წევრი გახდეს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი. ეკონომიკურ პროცესებზე პასუხისმგებლობა აიღოს ერთმა პოლიტიკურმა ძალამ და ამ დროს ეროვნულ ბანკს ხელმძღვანელობდეს სულ სხვა პოლიტიკური განწყობის მქონე პირთა ჯგუფი. ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე თუ იღებს პასუხისმგებლობას რომელიმე პოლიტიკური ძალა, მას ეს ძალაუფლება სრულად უნდა მივცეთ.

***— პოლიტიკური ფიგურა უნდა დაინიშნოს ამ თანამდებობაზე?***

— ამ თანამდებობაზე უნდა დაინიშნოს ნეიტრალური ადამიანი, რომელიც პასუხისმგებლობას აიღებს გარკვეულ პლატფორმასა და პროგრამაზე, თუ რას გააკეთებს. სამწუხაროდ, ჩვენთან მსჯელობა მიდის მხოლოდ კანდიდატებზე და იმაზე, თუ სად უმუშავია.

ეს არ არის კანდიდატის შერჩევის სწორი ფორმა.

# საქართველოს სამთო-სათხილამურო კურორტები ძვირია

## რას ელოდებიან უცხოელი ტურისტები საქართველოში

ლალი დავითური



**ზამთრის ტურისტული სეზონი ძალაში შევიდა. თოვლიც უხვად მოვიდა და ზამთრის კურორტები დამსვენებლებით აივსო. როგორია დამსვენებელთა რაოდენობა ზამთრის განმავლობაში საქართველოში, ძირითადად რომელი ქვეყნებიდან გვსტუმრობენ, იმატა თუ არა ტურისტთა რაოდენობამ?**

ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ყოფილ ხელმძღვანელს, ექსპერტს ტურიზმის დარგში მაია სიდამონიძეს ესაუბრა.

***— ქალბატონო მაია, ზამთრის სეზონი ზენიტშია, როგორია ზამთრის კურორტებზე ტურისტთა რაოდენობა?***

— ბაკურიანი და გუდაური დატვირთულია როგორც საერთაშორისო ვიზიტორებით, ასევე ადგილობრივი დამსვენებლებით. მესტიას და გოდერძის უღელტეხილს კვლავ სჭირდება მუშაობა ტურისტთა მოსაზიდად. მიუხედავად იმ საბაზისო ინფრასტრუქტურისა, რაც ბოლო წლებში გაკეთდა, ამ კურორტებს ნამდვილად აკლია ზამთრის სეზონის განმავლობაში დამსვენებლები.

ზამთრის სეზონი მნიშვნელოვანია თბილისისთვის. წლიდან წლამდე კლებულობს ზამთრის განმავლობაში ვიზიტორების რაოდენობა. სასტუმროების რაოდენობა იზრდება და კონკურენცია მატულობს, დატვირთვის კოეფიციენტი კი საკმაოდ დაბალია თბილისის სასტუმროებში. სასტუმროების და კერძო სექტორის დიდი სურვილია, რომ სახელმწიფომ ჩაატაროს აქტივობები, რომ ასეთი დაბალი სეზონი არ იყოს ზამთრის განმავლობაში.

***— ექსპერტები ვარაუდობდნენ, რომ რუსეთ-თურქეთის დაძაბული ურთიერთობის გამო საქართველოში ტურისტთა ნაკადი რუსეთიდან გაიზრდებოდა. გაამართლა მოლოდინმა?***

— რუსებს, თურქეთის გარდა, სხვა ალტერნატივა აქვთ, გარშემო ბევრი ქვეყანაა, როგორც ევროპის, ისე რეგიონის ქვეყნები. ჩვენ ნუ გვგონია, რომ რუსი ტურისტები ადგებიან და პირდაპირ საქართველოში წამოვლენ ყოველგვარი სამოტივაციო აქტივობების გარეშე, ეს ასე არ არის. ბაზარი საკმაოდ კონკურენტულია და ყველა იბრძვის იმისთვის, რომ ეს ვიზიტორები მიიზიდონ.

***— ჩვენთან ვიზიტორების მოსაზიდად არაფერს აკეთებენ?***

— ჩვენთან მხოლოდ მოლოდინის რეჟიმი არის, კონკრეტული აქტივობები არ ხორციელდება.

***— ზამთრის თვეებში რომელი ქვეყნებიდან შემოდიან ტურისტები?***

— ზამთარშიც და ზაფხულშიც დომინანტი ქვეყნები არიან ჩვენი მეზობელი ქვეყნები — სომხეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი, თურქეთი, თუმცა, ზამთრის განმავლობაში უკრაინაც აქტიურობს და არიან ევროპელი ვიზიტორებიც, რომლებიც ინდივიდუალურად მოგზაურობენ იმ იმედით, რომ ჩვენს კურორტებზე დახვდებათ უკეთესი ფასები და თუნდაც ფასის შესაბამისი მომსახურება.

***— და ეს ასე არ არის?***

— ეს ასე არ არის, წელს, მაგალითად, ახალი წლების განმავლობაში გუდაურში წყალი იყო შეწყვეტილი და არამარტო სასტუმროებში არ იყო წყალი, მაღაზიებშიც კი აღარ იყიდებოდა. არის კონკრეტული პრობლემები, რაც შემდგომში უარყოფითად აისახება ტურისტთა შემოსვლაზე. ამ პირობების შემსწრე ტურისტი თავს შეიკავებს შემდგომში აქ ჩამოსვლისგან.

***— საქართველოში სასტუმროების მაღალ ფასს მომსახურება არ შეესაბამება.***

— დღეისთვის თბილისში ასეთი სიტუაციები აღარ არის, რადგან გაიზარდა კონკურენცია და სასტუმროები იძულებულები არიან, დაბალი, კონკურენტული ფასები შესთავაზონ დამსვენებელს, თუმცა, კურორტებზე, როგორებიც არის ბათუმი, გუდაური, ბაკურიანი დამსვენებლების რაოდენობა აღემატება განთავსების რაოდენობას. კერძო სექტორს აქვს გარანტირებული დატვირთვა და ისინი ცდილობენ, მაქსიმალურად ძვირად გაყიდონ ნომრები, რაც უკმაყოფილებას იწვევს, რადგან ევროპის სხვა მიმართულებებთან შედარებით, ძვირი გამოდის საქართველოს სამთო-სათხილამურო კურორტები და მეორე, მომსახურება და ინფრასტრუქტურა არ არის ფასის შესაბამისი.

ამიტომ საჭიროა ინვესტიციების მოზიდვა, რომ რაც შეიძლება მეტი განთავსების ობიექტი და მეტი სასტუმრო გაიხსნას ამ კურორტებზე, რომ კონკურენციის შედეგად დაბალანსდეს მომსახურებაც და ფასებიც.

***— გუდაური და ბაკურიანი მთლიანად დატვირთულია. რას იტყვით შედარებით ახალი კურორტების პოტენციალზე?***

— გოდერძის უღელტეხილიც და მესტიაც ახალი კურორტებია და მათ პირველ რიგში სჭირდებათ სახელმწიფოს ხელშეწყობა.

მესტია ყველა სეზონზე ძალიან მნიშვნელოვანია არა მარტო მოთხილამურეებისთვის, არამედ იგივე კულტურული ტურებისთვის და ძალიან ბევრი მიმართულებით. მესტიას დიდი პოტენციალი აქვს და აქტიური სარეკლამო კამპანიების შედეგად კიდევ უფრო მეტი დამსვენებელი ეწვევა ამ ადგილებს.

***— რა პრეტენზიები აქვთ საქართველოში ჩამოსულ ტურისტებს?***

— საქართველოში ჩამოსულ ტურისტებს არ აქვთ მოლოდინი, რომ აქ დახვდებათ ხუთვარსკვლავიანი ნომრები და მომსახურება, მათ აქვთ სპეციფიკური მოთხოვნები, სპეციალური ვიზიტორები ჩამოდიან, რომლებსაც აინტერესებთ ადგილობრივი კულტურის გაცნობა, თუნდაც ღვინის კულტურა, ეს შეიძლება იყოს იგივე სათავგადასავლო გამოცდილება, მოგზაურობა და ა.შ.

მათ იმის მოლოდინი არ აქვთ, რომ საქართველოში ჩამოვლენ ზღვაზე და დახვდებათ დუბაისნაირი ინფრასტრუქტურა.

* * *

მესტიაში ტურისტთა რაოდენობის შესახებ „ახალი თაობა“ დაუკავშირდა სასტუმრო „თეთნულდის“ მენეჯერ ნათია ქურდიანს, რომელმაც განაცხადა:

— ტურისტთა რაოდენობით წელს კმაყოფილები ვართ, ბევრი ტურისტი გვყავდა. ახალ წლებზე და შემდგომ დღეებშიც სავსე იყო მესტია ტურისტებით, თითქმის ყველა სასტუმრო 100%-იანი დატვირთვით მუშაობდა, ახლა კი უკვე იკლო ტურისტების რაოდენობამ.

***— რატომ იკლო, ჯერ სეზონი ხომ არ დამთავრებულა, ადრე არ არის სეზონის დამთავრება?***

— არა, სეზონი არ დამთავრებულა. უბრალოდ, პირველი ნაკადი წავიდა და ველოდებით ახალ ნაკადს, მით უფრო, რომ თებერვლის პირველ რიცხვებში იხსნება მეორე სათხილამურო ტრასა და მაგ დროისთვის კიდევ უფრო მეტ ტურისტს ველით.

***— წელს შარშანდელზე მეტი ტურისტი გყავდათ?***

— კი, შარშანდელთან შედარებით წელს ბევრად მეტი ტურისტი იყო.

***— რა ღირს თქვენთან ერთი ღამე და ძირითადად რომელი ქვეყნებიდან გყავდათ დამსვენებლები?***

— ჩვენს სასტუმროში ერთადგილიანი ნომერი 180 ლარი ღირს, გესთჰაუზებში ერთადგილიანი ნომერი 50-60 ლარი ღირს. ტურისტები ძირითადად უკრაინიდან და რუსეთიდან იყვნენ და, რა თქმა უნდა, ძალიან ბევრი იყო ადგილობრივი დამსვენებელიც.

# ამერიკული პრესა სააკაშვილის წინააღმდეგ

დასაწყისი მე-2 გვერდზე

მიხეილ სააკაშვილის უკრაინული კარიერა 2015 წლის მაისში დაიწყო, როცა პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ იგი ოდესის ოლქის გუბერნატორად დანიშნა — იმ ოლქში, რომელიც ტრადიციულად კორუფციითა და დამნაშავეობის მაღალი დონით იყო განთქმული. საქართველოს ექსპრეზიდენტი საზოგადოებასთან ურთიერთობის ოსტატია და როცა იგი ოდესის ოლქის მოსახლეობას ხვდებოდა, მათ წინაშე პირობა დადო, რომ ოლქს კორუფციონერებისაგან გაწმენდდა. მართლაც, გუბერნატორმა ბევრი მაღალი და საშუალო რანგის ჩინოვნიკი თანამდებობიდან გადააყენა. თუმცა დიდ დროს არ გაუვლია, რომ მან განაცხადა, კორუფციასთან ბრძოლაში ხელს უკრაინის მთავრობა მიშლისო.

„მიხეილ სააკაშვილმა ასევე აქეთ-იქით სირბილი დაიწყო და ოდესის ოლქში არ ჩერდებოდა, უფრო მეტ დროს კიევში ატარებდა, სადაც მის ქარიზმატულ ფიგურას ათასნაირი ხმაურიანი თოქ-შოუების მოწყობით, უკრაინულმა ტელეარხებმაც პოპულარობა მიამატეს. საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მაშინაც კი, როცა ამბობდა — არანაირი შორს მიმავალი პოლიტიკური ამბიციები არ მაქვსო — აშკარაა, რომ მაინც უკრაინის პრემიერ-მინისტრის არსენ იაცენიუკის სავარძელს უმიზნებდა“, — წერს ადრიან კარატნიცკი.

მიხეილ სააკაშვილი უკრაინაში სწრაფად გახდა ანტიკორუფციონერ აქტივისტთა სულისჩამდგმელი. ექსპრეზიდენტის მტკიცებით, უკრაინა წელიწადში კორუფციის გამო ხუთ მილიარდ დოლარს კარგავდა, განსაკუთრებით ხაზს უსვამდა, რომ ამ თანხის 20% კომპანია „უკრაინის რკინიგზების“ ხელმძღვანელთა ჯიბეში ილექებაო, თუმცა ეს განცხადება გაკეთდა ზეპირად, ყოველგვარი აუდიტისა და დეტალური ანალიზის გარეშე, — აღნიშნავს ავტორი. გარდა ამისა, ოდესის ოლქის გუბერნატორმა მსგავსი განცხადებები გააკეთა შინაგან საქმეთა მინისტრის არსენ ავაქოვის მიმართაც, რაც ლანძღვა-გინებით, შეხლა-შემოხლით და წყლით სავსე ჭიქების ერთმანეთისადმი სროლით დასრულდა.

თავდაპირველად ისე ჩანდა, რომ მიხეილ სააკაშვილის შეტევები უკრაინის მთავრობის წინააღმდეგ პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოს პოზიციების განმტკიცებისა და მისი ოპონენტის არსენ იაცენიუკის გავლენების დასუსტების მიზნით ხორციელდებოდა, მაგრამ ახლა ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ოდესის გუბერნატორის მოქმედება მხოლოდ პირადი მიზნებით, პირადი ამბიციებითაა განპირობებული. სამწუხაროდ, მიხეილ სააკაშვილის ქარიზმამ და პოპულარულმა განცხადებებმა უკრაინის ბევრი პოლიტიკოსი და საზოგადოებრივი ლიდერი მოხიბლა, თუმცა არიან ისეთებიც, რომლებიც უკვე უკმაყოფილონი არიან კორუფციასთან ბრძოლის ნელი ტემპების გამო.

ავტორი აღნიშნავს, რომ მიხეილ სააკაშვილმა, საქართველოს პრეზიდენტობის ჟამს, კორუფციასთან ბრძოლის დროს გარკვეულ წარმატებებს მიაღწია. პოლიტოლოგი არ ივიწყებს მის მიერ გატარებულ საბაზრო რეფორმებსაც, მაგრამ იმავდროულად მიუთითებს, რომ ექსპრეზიდენტს საერთაშორისო არენაზე არაერთგვაროვანი რეპუტაცია აქვს:

— კონფიდენციალურ საუბრებში ევროპის მაღალჩინოსანი ლიდერები მიხეილ სააკაშვილს ექსცენტრიულ, გაუწონასწორებელ, არამდგრადი და იმპულსური ხასიათის მქონე პიროვნებად მიიჩნევენ, რომლის გამოც მან თავისი სამშობლოს ბედი საფრთხის წინაშე დააყენა. საბოლოო ჯამში, უკრაინის პოლიტიკაში მის მზარდ როლს ბრიუსელში და სხვა ევროპულ დედაქალაქებში სკეპტიკურად უყურებენ, — წერს პოლიტოლოგი.

ყველაზე საგანგაშო კი ისაა, რომ მიხეილ სააკაშვილს ავტორიტარული სტილით მართვა უყვარს.

— მას პირდაპირ სწყურია, რომ პოლიტიკური ოპონენტები დაიჭიროს და ციხეში ჩასვას. იმის ნაცვლად, რომ იგი თავის ოპონენტებს ნორმალურად, დემოკრატიული წესის დაცვით შეედავოს, პირიქით მოქმედებს — მათ ბრალს სდებს დანაშაულის ჩადენაში და დევნის. კორუფციას ოპონენტებისადმი ზეპირი ბრალდებებით კი არ უნდა ებრძოლო, არამედ აწონილ-დაწონილი, კარგად დოკუმენტირებული კონკრეტული დანაშაულის მამხილებელი მასალებით, — აღნიშნავს ავტორი და უკრაინელ კორუფციასთან მებრძოლებს აფრთხილებს, რომ მიხეილ სააკაშვილისაგან თავი ცოტა შორს დაიჭირონ და დანაშაულობები დეტალურად გამოიძიონ.

— უკრაინამ რევოლუციის შემდგომი ორი მძიმე წელი, ეკონომიკური კრიზისი და ომი გადაიტანა. ქვეყანა დაიღალა. ხალხს მოთმინების ფიალა აევსო იმის გამო, რომ კორუფციასთან რეალური ბრძოლა ძალიან ნელი ტემპით მიდის. შეიძლება მოსახლეობა ამ ფონზე მოუთმენელი მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკურმა აღმასვლამ და განცხადებებმა აცდუნოს, შეიძლება მან შექმნას ილუზია იმისა, რომ ყველაფერი სწრაფად განხორციელდება. ეს ცდუნება შეიძლება ისე გაძლიერდეს, რომ მას უკვე წინააღმდეგობას ველარ გაუწევენ. ყოველივე ეს კი ქვეყანას იქამდე მიიყვანს, რომ უკრაინა კონვულსიაში აღმოჩნდება. აი, სწორედ ასეთ გარემოში გრძნობს თავს მიხეილ სააკაშვილი კომფორტულად, — ასეთ დასკვნას აკეთებს ავტორი.

**ნიუსპრესი**

# სიენენმა საქართველო აუცილებლად მოსანახულებელ ქვეყანად დაასახელა



ახალი წლის დადგომასთან ერთად, მსოფლიოს ერთ-ერთმა წამყვანმა ტელეკომპანია სიენენმა იმ 16 ქვეყნის ჩამონათვალი გამოაქვეყნა, რომლებიც თავისი კულტურით, ისტორიით, ღირსშესანიშნაობებითა თუ განსაკუთრებული მაცხოვრებლებით წელს აუცილებლად მოსანახულებელია.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებს შორის მოხვდა საქართველოც.

ეს ქვეყანა აუცილებლად უნდა მოინახულოთ მისი შუასაუკუნეების არქიტექტურის, უძველესი კულტურისა და საუცხოო ლანდშაფტების გამო. თოვლით დაფარული მწვერვალები ფართო ხეობებში ეშვება, სადაც საუკუნოვანი სოფლებია უძველესი ეკლესიებითა და ციხესიმაგრეებით. „თოვლით დაფარული მწვერვალები ფართო ხეობებში ეშვება, სადაც გაფენილია საუკუნოვანი სოფლები, გორაკებზე შეფენილ ვენახებს შორის მიმობნეული უძველესი ეკლესიებითა და ციხესიმაგრეებით“, — აღნიშნულია სიენენის ვებ-გვერდის სამოგზაურო რჩევების განყოფილებაში, რომელიც მსოფლიოს გამოცდილ მოგზაურებზე დაყრდნობით დაიწერა.

ვებ-გვერდის ტურისტული განყოფილების ექსპერტები საქართველოს მრავალფეროვან ბუნებასა და ლანდშაფტს მომაჯადოებელს უწოდებენ, თბილისს კი — ძველისა და ახლის უნიკალურ ნაზავს.

სიენენის მიერ შედგენილ სიაში საქართველოსთან ერთად მოხვდნენ მადაგასკარი, პაპუა-ახალი გვინეა, უგანდა და პალაუ. სიენენის პარალელურად, მომავალ წელს აუცილებლად მოსანახულებელი ქვეყნების სია ნიუ-იორკის ერთ-ერთმა წამყვანმა ჟურნალმაც შეადგინა. მან საქართველო 50 რჩეულ ქვეყანათა ჩამონათვალში შეიყვანა.

**ეკა ირემაშვილი**

## სპორტი

# ნეიმარის მამამ რეალთან მოლაპარაკებები უარყო



რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბარსელონას ფორვარდის ნეიმარის მამა ციურიხში რეალის წარმომადგენლებს შეხვდა.

ნეიმარის მამა ერთდროულად მისი აგენტიც არის, ამიტომ ესპანური პრესის გადმოცემით, ამ შეხვედრის მიზანი ბრაზილიელი ვარსკვლავის სამეფო გუნდში გადასვლის შესაძლებლობების განხილვა იყო.

ეს ინფორმაცია კატეგორიულად უარყო ნეიმარის მამამ და თქვა, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ გამოგონილი ისტორიაა.

— რეალის წარმომადგენლებს არ შევხვედრივარ და არც ჩემი შვილი აპირებს გუნდის შეცვლას. ნეიმარი ბარსელონაში ძალიან ბედნიერია და ის მხოლოდ კონტრაქტის გახანგრძლივებაზე ფიქრობს, — განაცხადა ნეიმარის მამამ.

# ვიქტორ ვალდესი მანჩესტერიდან მიდის



34 წლის ესპანელი მეკარე ვიქტორ ვალდესი მანჩესტერ იუნაიტედის დატოვებას აპირებს, რადგან ამ გუნდში მან ფეხი ვერ მოიკიდა.

ვალდესი წლების მანძილზე ბარსელონას კარს იცავდა, მაგრამ 2014 წელს კატალონიურმა გუნდმა მასთან კონტრაქტი არ გაახანგრძლივა და ესპანელი გოლკიპერი მანჩესტერ იუნაიტედში გადავიდა სათამაშოდ.

იუნაიტედის მაისურით ვალდესმა წელიწადნახევარში მხოლოდ ორი შეხვედრა ჩაატარა და ვან გაალთანაც მოახერხა ურთიერთობის გაფუჭება.

ამ ყველაფრის შემდეგ არ არის გასაკვირი, რომ ვიქტორს გუნდის გამოცვლა სურს. მის მიმართ ინტერესს ბელგიური სტანდარტი გამოთქვამს და სავარაუდოდ ვალდესი სწორედ ამ კლუბში გააგრძელებს კარიერას.

# პაპუნაშვილმა შესაძლოა შალკეს წინააღმდეგ ითამაშოს



ბრემენის ვერდერის ქართველი ფორვარდი გიორგი პაპუნაშვილი შესაძლოა შალკეს წინააღმდეგ შეხვედრაში მოედანზე ვიხილოთ.

პაპუნაშვილი ვერდერის შეკრებაზე იყო იანვარში და ერთ-ერთ შეხვედრაში გოლის გატანაც მოახერხა. კიკერს თუ დავუჯერებთ, პაპუნაშვილი შესაძლოა შალკესთან თამაშის განაცხადშიც მოხვდეს.

ვერდერი ამჟამად სატურნირო ცხრილში მე-16 ადგილზეა და მეორე წრეში გაცილებით უკეთ მართებს თამაში მდგომარეობის გამოსასწორებლად.

შალკე-ვერდერის შეხვედრა გელზენკინხენში 24 იანვარს გაიმართება და თბილისის დროით 20.30 წუთზე დაიწყება. ვნახოთ, მიეცემა თუ არა შანსი ქართველ ლეგიონერს.

# რეალი გარეტ ბეილის გაშვებას არ აპირებს



მადრიდის რეალი მზად არის, გარეტ ბეილს ახალი კონტრაქტი შესთავაზოს, რომლის მიხედვითაც, უელსელი ფორვარდი სამეფო გუნდში 2021 წლამდე დარჩება.

გარდა ამისა, ბეილის ანაზღაურება საგრძნობლად გაიზრდება.

ბოლო პერიოდში ხშირად დადიოდა ხმები იმის შესახებ, რომ ბეილის მიმართ მანჩესტერ იუნაიტედი იჩენდა ინტერესს და მზად იყო, მის ტრანსფერში 100 მილიონი ევრო გადაეხადა. როგორც ჩანს, რეალს არ სურს უელსელი ფეხბურთელის გაშვება, ამიტომ მადრიდში სწრაფად მოახდინეს რეაგირება და ბეილს ახალი კონტრაქტი შესთავაზეს.

სავარაუდოდ, ბეილი უარს არ იტყვის, რადგან ერთ-ერთ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ რეალში კიდევ დიდი ხნის მანძილზე სურს თამაში.

**ბ. გ.**

# სამოცდაათ წელს გადაცილებულთა მოსაზრება

## („ვუნდერკინდების ქვეყნის“ თაობაზე)

*ვუნდერკინდი (გერმ. Wunderkind, სიტყვა სიტყვით „საოცარი ბავშვი“)*

მაგალითისთვის, ვუნდერკინდი იყო ავსტრიელი კომპოზიტორი მოცარტი, რომელმაც მუსიკის წერა დაიწყო 4 წლის ასაკიდან, 7 წლისამ დაწერა სიმფონიური ნაწარმოები, 12 წლისამ კი — თავისი პირველი ოპერა.

ახლა კი დავაკვირდეთ, ძირითადად ვინ არიან ქართულ სატელევიზიო სივრცეში? ყოველდღე ვინ გვმოძღვრავს, თანაც უაპელაციოდ და ყველაფრის ცოდნის პრეტენზიით?

ვუნდერკინდები?

ნუთუ ჩვენ მართლა ვცხოვრობთ ვუნდერკინდების ქვეყანაში?

ნუთუ პირველი გაგებით უნდა აღვიქვათ გამონათქვამი — ყრმის პირით მეტყველებს ჭეშმარიტება?

ნუთუ მართალია, რომ ზოგიერთ პარლამენტის წევრს სწორედ იქ გაუხსნეს შრომის წიგნაკი?

ვუნდერკინდები?

თუ საქართველოს პარლამენტში დარღვეულია გენდერული თანასწორობის პრინციპი, სამაგიეროდ ქართულ მედიასივრცეში ქალბატონების, უფრო სწორად, გოგონების მიერ სრული და დამაჯერებელი რევანშია აღებული.

ვუნდერკინდები?

ზოგი მათგანი გვაგონებს ფეხბურთის ვაიგულშემატკივარს, რომელიც თვლის, რომ ფეხბურთში ყველაფერი იცის — წვრთნაც, შემადგენლობის განსაზღვრაც, ტაქტიკაცა და სტრატეგიაც.

რად გინდათ შორს წასვლა. არც ისე დიდი ხნის წინ, საჯაროდ ტელემაყურებლების წინაშე არაპროფესიონალები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ არც მეტი, არც ნაკლები — სიმფონიური ორკესტრის დირიჟორობაში და ეს მაშინ, როცა ბევრს კარგად ახსოვს ჯანსულ კახიძის ბრწყინვალე, ძალზე აქტუალური მუსიკის სატელევიზიო გაკვეთილები.

ვუნდერკინდები?

ეკონომიკის ახლად დანიშნულმა მაშინდელმა მინისტრმა (სამინისტროს დასახელებაში ჯერ კიდევ არ იყო გამოყენებული სიტყვა „მდგრადი განვითარება“), საქართველოს უმსხვილესი საწარმოს — საავიაციო ქარხნის გენერალური დირექტორის შემოთავაზებაზე წარმოების ადგილზე გაცნობასთან დაკავშირებით, უპასუხა: — მეტი საქმე არ მაქვს, ქარხნებში ვიაროო.

შედეგად ის მდგომარეობა, რომელიც გვაქვს.

ვუნდერკინდები?

ხშირად ტელემაყურებელს ექმნება შთაბეჭდილება, რომ ეთერში გამომსვლელი ხელმძღვანელობს ძველი ლეგენდა-ანეკდოტის შესაბამისად და მისი ნათქვამი, ხშირ შემთხვევაში მხოლოდ და მხოლოდ რეალური სიტუაციის საწინააღმდეგოა.

თავის დროზე ბევრი საჩივარი შედიოდა მთავრობის სახელზე იმის თაობაზე, რომ ამინდის პროგნოზირებაში მნიშვნელოვანი უზუსტობები იყო. სტალინს გამოუძახია ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის ხელმძღვანელი და უკითხავს — რამდენი პროცენტით სრულდება თქვენი პროგნოზიო. 35-40 პროცენტიო, — იყო პასუხი. მაშინ აიღეთ და თქვენი პროგნოზის საპირისპირო მონაცემები გამოაქვეყნეთ, ალბათობა 65-60 პროცენტს შეადგენსო.

ვუნდერკინდები?

კარგი იქნებოდა, კითხვის ნიშნის დასმა არ გვჭირდებოდეს. რასაკვირველია — „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა“.

**თამაზ გაგუა, ჯემალ კუხალაშვილი, ზაურ მესხიშვილი, ზაურ ჩიტიძე**

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

# მოლდოვის პრორუსულმა ოპოზიციამ ხელისუფლებას ულტიმატუმი წაუყენა



კიშინიოვში საპროტესტო აქციები არ ცხრება, თუმცა ქუჩებში მანიფესტანტების რაოდენობამ იკლო. მათი რიცხვი 6.000--დან 3.000-მდე შემცირდა.

სოციალისტური პარტიის, „ჩვენი პარტიის“ და სხვა ოპოზიციური გაერთიანებების წარმომადგენლები მოლდოვის პარლამენტის სპიკერ კანდუს შეხვდნენ. მოთხოვნა კატეგორიული ფორმით იქნა წარმოდგენილი: „მთავრობა უკანონოა, ის უნდა გადადგეს და ვადამდელი არჩევნები დაინიშნოს“.

კანდუმ პრორუსული მემარცხენე ოპოზიციის მოთხოვნები უარყო.

ამავე დროს მოლდოველი პოლიტიკოსები თუ ექსპერტები დატრიალებულ მოვლენებში რუსეთის დადანაშაულებას გაურბიან. მოლდოველმა პოლიტოლოგმა დიანა ლუპესკუმ განაცხადა:

– იმას, რაც დღეს მოლდოვაში ხდება, გეოპოლიტიკური დატვირთვა არ გააჩნია. საუბარი ე.წ. „რუსეთის ხელზე“ გაუმართლებელია! უბრალოდ, მოსახლეობა გამოთქვამს პროტესტს რესპუბლიკაში გამეფებული განუკითხაობის, სიღატაკის, კორუფციის გამო. ხალხს მხოლოდ ოლიგარქიული თვითნებობის შეზღუდვა სურს და მეტი არაფერი.!

# პუტინმა ლენინს რუსეთის დაშლა დააბრალა

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა 21 იანვარს სენსაციური ანტილენინური განცხადება გააკეთა.

მან თქვა, რომ ვლადიმერ ლენინი წარმოადგენდა ატომურ ბომბს, რომელმაც რუსეთი შიგნიდან ააფეთქა. პუტინმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ლენინი გერმანულმა სპეცსამსახურებმა შემოაგდეს, რათა რუსეთის კაპიტულაციისთვის მიეღწიათ. შედეგად რუსეთში სამოქალაქო ომი გაჩაღდა, შეიქმნა საბჭოთა კავშირი, რამაც რუსეთის დაშლის წინაპირობები შექმნა.

– გუბერნიების ნაცვლად მოკავშირე რესპუბლიკების შექმნა წარმოადგენდა ნაღმს, რომელიც ადრე თუ გვიან აფეთქდებოდა. 1991 წელს ნაღმი აფეთქდა, – თქვა პუტინმა.

რუსეთის პრეზიდენტის ამ გამოსვლამ როგორც რუსი კომუნისტების, ასევე თათარსტანის, ბაშკორტოსტანის თუ რუსეთში შემავალი სხვა რესპუბლიკების წარმომადგენლები აღაშფოთა.

პუტინის პრეს-მდივანმა პესკოვმა ამასთან დაკავშირებით განაცხადა:

– ჩვენ დემოკრატიული სახელმწიფო გვაქვს. ბატონმა პუტინმაც თავისი პირადი შეხედულებები გამოთქვა. ეს არ ნიშნავს იმას, რომ რუსეთში შემავალ რესპუბლიკებს გააუქმებენ ან გუბერნიებს აღადგენენ.

# ჯონ ქერი: სირიასთან დაკავშირებული მოლაპარაკებები არ გაიწელება!



აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ჯონ ქერიმ განაცხადა, რომ სირიასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების დიდი ხნით გადადება გამორიცხულია:

– არ უარვყოფ, არსებობს შემაფერხებელი ფაქტორები, მათ შორის უმთავრესი მოლაპარაკებებზე სირიის ოპოზიციის სიის დადგენასთანაა დაკავშირებული. თუმცა უკვე შეიძლება ვთქვათ, რომ მოლაპარაკებები შესაძლოა ერთი-ორი დღით გადაიდოს, მაგრამ მათი დიდი ხნით გაწელვა გამორიცხულია!

ქერის აზრით, მოლაპარაკებების დიდხანს გაწელვით არც რუსეთი, არც ევროპა და არც აშშ დაინტერესებულნი არ არიან.

მომავალ კვირას დიალოგი განახლდება.

# ინგლისის სასამართლო: ლიტვინენკო რუსეთის ფსბ-მ მოკლა

## როგორ აისახება ეს ვერდიქტი რუსეთ-ინგლისის ურთიერთობებზე?

დასრულდა საზოგადოებრივი მოსმენები ფსბ-ს ყოფილი ოფიცრის ალექსანდრე ლიტვინენკოს საქმესთან დაკავშირებით.

სასამართლოს ვერდიქტი მსოფლიო მასშტაბის სენსაციად იქცა. მკვლელობა რუსეთის ფსბ-ს მიერაა ჩადენილი, შემკვეთი კი, სავარაუდოდ, თავად პრეზიდენტი პუტინი იყო.

ალექსანდრე ლიტვინენკოს ქვრივმა მარინამ ინგლისის პრემიერ ქემერონს მოუწოდა, ინგლისიდან რუსეთის სპეცსამსახურების ყველა თანამშრომელი გააძევონ, პუტინის, პატრუშევისა თუ სხვების მიმართ კი პერსონალური სანქციები შემოიღონ.



ინგლისის შინაგან საქმეთა მინისტრმა ტერეზა მეიმ თავის მხრივ აღნიშნა, რომ დიდი ბრიტანეთი მკვლელობაში ეჭვმიტანილი ფსბ-ს ოფიცრების ლუგოვოისა და კოვტუნის ექსტრადიციას მოითხოვს, რომელთაც თავი რუსეთს შეაფარეს.

პრემიერ ქემერონის წარმომადგენელმა ტელევიზიით გამოსვლისას თქვა:

– რუსეთის პოლიტიკა ცივილიზებული ქვეყნის ჩარჩოებში არ ჯდება!

რუსეთის რეაქცია ლონდონის სასამართლოს ვერდიქტზე მწვავე იყო. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ზახაროვამ განაჩენს უსაფუძვლო უწოდა.

– ესაა უსამართლო და პოლიტიკური მოტივებით გამოტანილი განაჩენი! – თქვა ზახაროვამ.

გაცილებით ხისტი იყო პუტინის პრეს-მდივნის, დიმიტრი პესკოვის, განცხადება. მან ლონდონის სასამართლოს ვერდიქტს ცილისწამება უწოდა.

– ლონდონში დადგეს სპექტაკლი, რასაც სასამართლოსთან არაფერი საერთო არ გააჩნია. ესაა რუსული სახელმწიფოს წინააღმდეგ განხორციელებულ მტრული აქცია, – თქვა პესკოვმა.

ინგლისელი ექსპერტი ჯეიმს ნოქსი ამბობს, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ რუსულ-ბრიტანული ურთიერთობები არ ყოფილა ისეთი დაძაბული, როგორც დღეს. სავარაუდოდ, რუსეთის წინააღმდეგ დამატებით სანქციებს შემოიღებენ, ეს კი როგორც საერთაშორისო ვითარებაზე, ასევე თავად რუსეთის შიგნით განვითარებულ პროცესებზეც გავლენას იქონიებს.

თეთრი სახლის პრეს-მდივანმა ჯოშუა ერნსტმა განაცხადა, რომ ლონდონის სასამართლოს ვერდიქტით შეძრწუნებულია. ერნსტმა აღნიშნა, რომ ყველაფერი, რაც სასამართლოზე დამტკიცდა, ჯაშუშურ თრილერს წააგავს, თუმცა ეს გამონაგონი კი არა, მწარე სიმართლეა.

– ლიტვინენკო თავად მუშაობდა ფსბ-ზე, ისევე, როგორც მისი მკვლელები ლუგოვოი და კოვტუნი. მან ბევრი რამ იცოდა, ამიტომაც მოკლეს. ბრძანება მისი ლიკვიდაციის შესახებ თავად ფსბ-ს იმჟამინდელმა შეფმა პატრუშევმა გასცა, თუმცა დამოუკიდებლად ის ამ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდა, – თქვა ერნსტმა.

ჟურნალისტის შეკითხვაზე, გჯერათ თუ არა, რომ მკვლელობის შემკვეთი თავად პუტინიაო, ერნსტმა მიუგო:

– ყველაფერი ამაზე მიუთითებს, თუმცა ასი პროცენტით ამისი დამტკიცება მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება, როცა გამოძიებას პირადად პუტინის დაკითხვის საშუალება მიეცემა.

თეთრი სახლის პრეს-მდივანმა განაცხადა, რომ ლიტვინენკოს მკვლელობასთან დაკავშირებით ამ ეტაპზე ვაშინგტონი არანაირი ღონისძიებების გატარებას არ გეგმავს:

– თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ ახლო მომავალში ჩვენი მხრიდან გარკვეული ნაბიჯები გადაიდგას! ამაში რუსეთის მიმართ ახალი სანქციების შემოღება იგულისხმება, – თქვა ერნსტმა.


# განცხადებები

## მკურნალობა

● გასახდომი ყავა!!! ხარისძირას სპეციალური ჯიშით გამდიდრებულ 3-კომპონენტიან ანტილიპიდურ კუპაჟს გააჩნია ანტიდიაბეტური თვისებები!!! მის: თამარ მეფის 27 (რკ.სადგურთან). ტელ: 577-52-88-41.

● მხოლოდ აქ! თამარ მეფის 27-ში. „პლანტა“ – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზურიც!); „პლანტა-გლანდა“ – ჩირქოვანი გლანდები, ხვრინვა, გრიპის პროფილაქტიკა; „პლანტა+“ – მასტოპათია (კვანძები!), პოლიკისტოზი, ფიბრომა, უნაყოფობა; „პლანტა-7“ – წყლული, ჰეპატიტი, პროსტატიტი, ადენომა, პოტენცია. ზემოთ აღნიშნულ სერთიფიცირებულ სიროფებს გააჩნიათ ანტისიმსივნური თვისებები! ტელ: 558-59-59-82.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.



# ტიტანის სამკურნალო მაგნიტური სამაჯური

სამაჯური ხასიათდება უნიკალური სამკურნალო და გამაჯანსაღებელი თვისებებით.ჩატარებული მეცნიერული კვლევების შემდეგ 2005 წელს ევროპამ და 2006 წელს ამერიკამ აღიარეს, როგორც 21 საუკუნის პროდუქტი. ჩვენება არეგულირებს არტერიულ წნევას. ხსნის სტრესს, დაღლილობას, სახსრებისა ხერხემლისა და თავის ტკივილს. აწესრიგებს ძილს, იმუნურ სისტემას. ხელს უშლის კიბოს უჯრედების განვითარებას. არეგულირებს ქოლესტერინის დონეს სისხლში. აძლიერებს ნაწლავურ ფლორას, არეგულირებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას, ამაღლებს ტონუსს, აქვს ძლიერი ანტიოქსიდანტური მოქმედება, გვარდება ნევროზები, გამოაქვს ორგანიზმიდან „შლაკები“, მარილები, წამლისგან დარჩენილი ნივთიერებები, მისი ყოველდღიური მოხმარება არეგულირებს მეტაბოლიზმს (ნივთერებათა ცვლა). გაჯანსაღების გზით ხდება წონის კორექცია, გვარდება ნევროზები, პოტენცია, ადამიანი ხდება ენერგიული, ეხსნება ქრონიკული დაღლილობის შეგრძნება და ა.შ.



ის იწყებს ძიებას ორგანიზმში რა არის დაზიანებული, თვითონ აგნებს და ზუსტად იქიდან იწყებს მოგვარებას. მას აგრეთვე უწოდებენ „მაგიურ სამაჯურს“

დაახლოებით 10 წუთში თქვენ ნათლად გრძნობს სითბოს ან ჩხვლეტას მაჯაზე. თუმცა, ზოგიერთი ადამიანი, გრძნობს რამდენიმე საათის ან 2-3 დღის შემდეგ. რამდენიმე დღეში იგრძნობთ რომ შეგიმსუბუქდათ ტკივილები, რომელიც წლების განმვლობაში გაწუხებდათ. სამაჯურის მუდმივად მოხმარების შემდეგ კი უკვალოდ ქრება. ტიტანის სამაჯურის მოხმარების შემდეგ პაციენტს აღარ სჭირდება ზედმეტი წამლები.

შემადგენლობა ტიტანის სამაჯაურში ჩასმულია სამედიცინო მაგნიტი. (ნეოდიმი). ნეოდიმი მაგნიტებს შორის არის ყველაზე ძლიერი მუდმივი მაგნიტი.

არ ახასიათებს გვერდითი მოვლენები, მწარმოებელი ქვეყანა გერმანია. მიწოდება შესაძლებელია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ბინაზე. ფასი 50 ლარი.

**მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას 79. ტელ: 2 182 186.**
**შეკვეთები მიიღება ნომერზე: 579 885 996.**


# ჩრდილოეთ კორეაში ამერიკელი სტუდენტი დააპატიმრეს

ამერიკელი სტუდენტი, რომელიც ჩრდილოეთ კორეაში ტურისტად ჩავიდა, დააპატიმრეს.

ამის თაობაზე ჩრდილოეთ კორეის სატელეგრაფო სააგენტი იუწყება. თანახმად ცნობისა, სტუდენტი თურმე სინამდვილეში აშშ-ს დაზვერვის თანამშრომელი იყო.



– მას ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ მტრული აქტები უნდა განეხორციელებინა, – ნათქვამია შეტყობინებაში.

ცნობაში მითითებული არ არის არც სტუდენტის გვარი, არც ის, თუ კონკრეტულად რა მტრული აქტების განხორციელებას აპირებდა სტუდენტი. ჯერ არც დაკავებულის სასამართლო შემდგარა, თუმცა ჩრდილო კორეის მედია კატეგორიულად ამტკიცებს:

– ეს კაცი სტუდენტი კი არა, დაზვერვის თანამშრომელია!

მოამზადა ნიკა თევზაძემ


**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);

2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);

3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;

4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);

5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: ალმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.

# გერმანიაც ევროპაშია, ინგლისში ლონდონური დერბია

## სტატისტიკა, ფსონები

ევროპას უკვე გერმანიაც შეუერთდა, თუმცა მთავარი მოვლენა ინგლისშია – ლონდონური დერბი. არსენალი ემირაიტ სთედიუმზე უმასპინძლებს ჩელს და ლიდერის პოზიციის მოპოვებას შეეცდება.

საინტერესო მატჩებია სხვა ქვეყნებში. ესპანეთში ატლეტიკო და სევილია შეერკინება ერთმანეთს, გერმანიაში ორი ბორუსია – გლადბახი და დორტმუნდი, იტალიაში ურთიერთობას იუვენტუსი და რომა გაარკვევენ, ხოლო საფრანგეთში – ლიონი და მარსელი.




### ინგლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 23.01 | ნორვიჩი-ლივერპული | 4.0 | 3.4 | 1.95 |
| 23.01 | უოტფორდი-ნიუკასლი | 2.05 | 3.4 | 3.6 |
| 23.01 | ვესტ ბრომვიჩი-ასტონ ვილა | 2.05 | 3.1 | 4.0 |
| 23.10 | სანდერლენდი-ბორნმუთი | 3.0 | 3.25 | 2.37 |
| 23.01 | ლესტერი-სტოკი | 2.05 | 3.4 | 3.6 |
| 23.01 | მანჩესტერი-საუთჰემპტონი | 1.85 | 3.3 | 4.6 |
| 23.01 | კრ.პალასი-ტოტენჰემი | 3.4 | 3.2 | 2.2 |
| 23.01 | ვესტ ჰემი-სიტი | 5.0 | 3.6 | 1.73 |
| 24.01 | ევერტონი-სუონსი | 1.67 | 3.6 | 5.5 |
| 24.01 | არსენალი-ჩელსი | 2.05 | 3.4 | 3.6 |

**ნორვიჩი-ლივერპული**

ნორვიჩი: ***ტრავმ***-არავინ; ***დისკვ***-გარი ონილი

ლივერპული: ***ტრავმ***-ფილიპე კოუტინიუ, დივოკ ორიჯი, მარტინ შკრტელი, დანიელ სტარიჯი

**უოტფორდი-ნიუკასლი**

უოტფორდი: ***ტრავმ***-არავინ

ნიუკასლი: ***ტრავმ***-პოლ დამენტი, ვურნონ ანიტა, პაპის სისე

**ვესტ ბრომვიჩი-ასტონ ვილა**

ვესტ ბრომვიჩი: ***ტრავმ***-ჯონათან ევანსი

ასტონ ვილა: ***ტრავმ***-ადამა ტრაორე

**სანდერლენდი-ბორნმუთი**

სანდერლენდი: ***ტრავმ***-სტივენ ფლეტჩერი, ჯეკ როდველი, იუნის ქაბული, ადამ მატეუსი

ბორნმუთი: ***ტრავმ***-ტოკელო რანტიე, მატ რიჩი, ტაირონ მინგსი, მაქს გრადელი

**ლესტერი-სტოკი**

ლესტერი: ***ტრავმ***-არავინ

სტოკი: ***ტრავმ***-რაიან შოუკროსი, ჯონათან ვალტერსი

**მანჩესტერი-საუთჰემპტონი**

მანჩესტერი: ***ტრავმ***-ნიკ პაუელი, ბასტიან შვაინშტაიგერი, ფილ ჯონსი

საუთჰემპტონი: ***ტრავმ***-გასტონ რამირესი

**კრ.პალასი-ტოტენჰემი**

კრ.პალასი: ***ტრავმ***-დამიენ დელანეი, იანიკ ბოლასიე

ტოტენჰემი: ***ტრავმ***-ნაბილ ბენტალები, რაიან მეისონი

**ვესტ ჰემი-სიტი**

ვესტ ჰემი: ***ტრავმ***-ენდი კეროლი

სიტი: ***ტრავმ***-სერხიო აგუერო, ვინსენტ კომპანი

**ევერტონი-სუონსი**

ევერტონი: ***ტრავმ***-მუჰამედ ბესიჩი, სიმუს კულემანი, ჯეიმს მაკარტნი, ტონი ჰიბერტი

სუონსი: ***ტრავმ***-არავინ

**არსენალი-ჩელსი**

არსენალი: ***ტრავმ***-ჯეკ უილშირი

ჩელსი: ***ტრავმ***-ედენ აზარი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.არსენალი | 22 | 13 | 5 | 4 | 37-21 | 44 |
| 2.ლესტერი | 22 | 12 | 8 | 2 | 39-26 | 44 |
| 3.სიტი | 22 | 13 | 4 | 5 | 43-21 | 43 |
| 4.ტოტენჰემი | 22 | 10 | 9 | 3 | 38-18 | 39 |
| 5.მანჩესტერი | 22 | 10 | 7 | 5 | 28-20 | 37 |
| 6.ვესტ ჰემი | 22 | 9 | 8 | 5 | 34-26 | 35 |
| 7.სტოკი | 22 | 9 | 6 | 7 | 24-22 | 33 |
| 8.კრ.პალასი | 22 | 9 | 4 | 9 | 23-24 | 31 |
| 9.ლივერპული | 22 | 8 | 7 | 7 | 25-28 | 31 |
| 10.საუთჰემპტონი | 22 | 8 | 6 | 8 | 31-24 | 30 |
| 11.ევერტონი | 22 | 6 | 11 | 5 | 39-32 | 29 |
| 12.უოტფორდი | 22 | 8 | 5 | 9 | 25-25 | 29 |
| 13.ვესტ ბრომვიჩი | 22 | 7 | 6 | 9 | 22-30 | 27 |
| 14.ჩელსი | 22 | 6 | 7 | 9 | 31-34 | 25 |
| 15.ბორნმუთი | 22 | 6 | 6 | 10 | 26-37 | 24 |
| 16.ნორვიჩი | 22 | 6 | 5 | 11 | 24-38 | 23 |
| 17.სუონსი | 22 | 5 | 7 | 10 | 20-30 | 22 |
| 18.ნიუკასლი | 22 | 5 | 6 | 11 | 24-39 | 21 |
| 19.სანდერლენდი | 22 | 5 | 3 | 14 | 27-45 | 18 |
| 20.ასტონ ვილა | 22 | 2 | 6 | 14 | 18-38 | 12 |

### ესპანეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 23.01 | მალაგა-ბარსელონა | 7.5 | 4.6 | 1.3 |
| 23.01 | ესპანიოლი-ვილიარეალი | 2.7 | 3.0 | 2.4 |
| 23.02 | გრანადა-ხეტაფე | 2.62 | 3.1 | 2.8 |
| 23.01 | რაიო-სელტა | 2.62 | 3.4 | 2.6 |
| 24.01 | ბილბაო-ეიბარი | 1.53 | 3.5 | 5.5 |
| 24.01 | ატლეტიკო-სევილია | 1.6 | 3.4 | 5.0 |
| 24.01 | დეპორტივო-ვალენსია | 2.15 | 3.1 | 3.0 |
| 24.01 | ბეტისი-რეალი | 7.5 | 5.5 | 1.25 |
| 25.01 | ლევანტე-ლას პალმასი | 2.37 | 2.87 | 2.87 |

**მალაგა-ბარსელონა**

მალაგა: ***ტრავმ***-ხუან კარლოსი; ***დისკვ***-არტურ ბოკა

ბარსელონა: ***ტრავმ***-ხორდი ალბა, რაფინია; ***დისკვ***-ხერარდ პიკე

**ესპანიოლი-ვილიარეალი**

ესპანიოლი: ***ტრავმ***-ვიქტორ სანჩესი, ანაიტც არბილია; ***დისკვ***-ერნან პერესი

ვილიარეალი: ***ტრავმ***-სამუ, დანიელე ბონერა, ადრიანი; ***დისკვ***-ვიქტორ რუისი

**გრანადა-ხეტაფე**

გრანადა: ***ტრავმ***-ადალბერტო პენარანდა; ***დისკვ***-კრისტიანო ბირაგი

ხეტაფე: ***ტრავმ***-ალვარო მედრანი

**რაიო-სელტა**

რაიო: ***ტრავმ***-ადრი ემბარბა, ტონო, რაზვან რაცი, პატრიკ ებერტი

სელტა: ***ტრავმ***-ენდრიუ ფონტასი

**ბილბაო-ეიბარი**

ბილბაო: ***ტრავმ***-რაულ გარსია; ***დისკვ***-გორკა ირაიზოზი

ეიბარი: ***ტრავმ***-ანტონიო ლუნა, გონსალო ესკალანტე, მიკელ არუაბარენა

**ატლეტიკო-სევილია**

ატლეტიკო: ***ტრავმ***-ტიაგო

სევილია: ***ტრავმ***-მარკო ანდრეოლი, ნიკოლას პარეხა; ***დისკვ***-ვისენტე იბორა

**დეპორტივო-ვალენსია**

დეპორტივო: ***ტრავმ***-ფედერიკო კარტაბია, ცელსო ბორხესი

ვალენსია: ***ტრავმ***-ენცო პერესი, სოფიან ფეგული

**ბეტისი-რეალი**

ბეტისი: ***ტრავმ***-კრისტიანო პიცინი, ჰეიკო ვესტერმანი

რეალი: ***ტრავმ***-გარეთ ბეილი

**ლევანტე-ლას პალმასი**

ლევანტე: ***ტრავმ***-რუბენ გარსია, ხოსე მარი, ხუანფრანი, ვიქტორ კასადესუსი

ლას პალმასი: ***ტრავმ***-ჰერნანი, ხავი კასტელანო

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ატლეტიკო | 20 | 15 | 2 | 3 | 30-8 | 47 |
| 2.ბარსელონა | 19 | 14 | 3 | 2 | 50-15 | 45 |
| 3.რეალი | 20 | 13 | 4 | 3 | 57-19 | 43 |
| 4.ვილიარეალი | 20 | 12 | 4 | 4 | 26-16 | 40 |
| 5.სელტა | 20 | 10 | 4 | 6 | 32-30 | 34 |
| 6.ეიბარი | 20 | 9 | 6 | 5 | 32-21 | 33 |
| 7.სევილია | 20 | 9 | 5 | 6 | 28-22 | 32 |
| 8.დეპორტივო | 20 | 6 | 10 | 4 | 27-24 | 28 |
| 9.ბილბაო | 20 | 8 | 4 | 8 | 27-28 | 28 |
| 10.ხეტაფე | 20 | 7 | 5 | 8 | 24-28 | 26 |
| 11.ვალენსია | 20 | 5 | 9 | 6 | 25-21 | 24 |
| 12.მალაგა | 20 | 6 | 6 | 8 | 15-17 | 24 |
| 13.სოსიედადი | 20 | 5 | 6 | 9 | 23-28 | 21 |
| 14.ესპანიოლი | 20 | 6 | 3 | 11 | 18-33 | 21 |
| 15.ბეტისი | 20 | 5 | 6 | 9 | 13-28 | 21 |
| 16.ლას პალმასი | 20 | 4 | 6 | 10 | 19-30 | 18 |
| 17.გრანადა | 20 | 4 | 5 | 11 | 21-41 | 17 |
| 18.რაიო | 20 | 4 | 4 | 12 | 23-45 | 16 |
| 19.ხიხონი | 19 | 4 | 3 | 12 | 17-34 | 15 |
| 20.ლევანტე | 20 | 3 | 5 | 12 | 17-36 | 14 |

### გერმანია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 23.01 | კიოლნი-შტუტგარტი | 2.15 | 3.5 | 3.25 |
| 23.01 | ჰოფენჰაიმი-ლევერკუზენი | 4.2 | 3.6 | 1.83 |
| 23.01 | ჰერტა-აუგსბურგი | 2.25 | 3.2 | 3.3 |
| 23.01 | ინგოლშტადი-მაინცი | 2.5 | 3.2 | 2.9 |
| 23.01 | ჰანოვერი-დარმშტადი | 2.3 | 3.2 | 3.2 |
| 23.01 | გლადბახი-დორტმუნდი | 4.33 | 4.0 | 1.73 |
| 24.01 | აინტრახტი-ვოლფსბურგი | 3.4 | 3.6 | 2.05 |
| 24.01 | შალკე-ვერდერი | 1.67 | 4.0 | 4.75 |

**კიოლნი-შტუტგარტი**

კიოლნი: ***ტრავმ***-არავინ

შტუტგარტი: ***ტრავმ***-მარტინ ჰარნიკი, დანიელ გინსეკი

**ჰოფენჰაიმი-ლევერკუზენი**

ჰოფენჰაიმი: ***ტრავმ***-სტივენ ზუბერი, კევინ კურანი

ლევერკუზენი: ***ტრავმ***-რობერტო ჰილბერტი, ლარს ბენდერი, ტინ იედვაი

**ჰერტა-აუგსბურგი**

ჰერტა: ***ტრავმ***-ნიკლას სტარკი, ტომას კრაფტი, პეტერ პეკარიკი

აუგსბურგი: ***ტრავმ***-იან-ინგვერ კალსენ-ბრაკერი, ტობის ვერნერი

**ინგოლშტადი-მაინცი**

ინგლოშტადი: ***ტრავმ***-კონსტანტინ ენგელი, მარკუს სუტნერი

მაინცი: ***ტრავმ***-არავინ

**ჰანოვერი-დარმშტადი**

ჰანოვერი: ***ტრავმ***-ჰიროში ტიოკატე

დარმშტადი: ***ტრავმ***-არავინ

**გლადბახი-დორტმუნდი**

გლადბახი: ***ტრავმ***-ტონი იანცკე, ალვარო დომინგესი, ანდრე ჰანი, ნიკო შულცი, პატრიკ ჰერმანი, მარტინ შტრანცლი

დორტმუნდი: ***ტრავმ***-მარკო როისი

**აინტრახტი-ვოლფსბურგი**

აინტრატი: ***ტრავმ***-სტეფან რეინალტცი, იოანეს ფლუმი, ლუკ კასტაიგნოსი

ვოლფსბურგი: ***ტრავმ***-რიკარდო როდრიგესი, ლუის გუსტავო

**შალკე-ვერდერი**

შალკე: ***ტრავმ***-მარკო ჰოგერი, მატია ნასტანიჩი

ვერდერი: ***ტრავმ***-ზლატკო იუნუზოვიჩი, არონ იოჰანსენი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 17 | 15 | 1 | 1 | 46-8 | 46 |
| 2.დორტმუნდი | 17 | 12 | 2 | 3 | 47-23 | 38 |
| 3.ჰერტა | 17 | 10 | 2 | 5 | 26-18 | 32 |
| 4.გლადბახი | 17 | 9 | 2 | 6 | 34-30 | 29 |
| 5.ლევერკუზენი | 17 | 8 | 3 | 6 | 25-20 | 27 |
| 6.შალკე | 17 | 8 | 3 | 6 | 23-23 | 27 |
| 7.ვოლფსბურგი | 17 | 7 | 5 | 5 | 26-21 | 26 |
| 8.მაინცი | 17 | 7 | 3 | 7 | 23-23 | 24 |
| 9.კიოლნი | 17 | 6 | 6 | 5 | 18-21 | 24 |
| 10.ჰამბურგი | 17 | 6 | 4 | 7 | 19-23 | 22 |
| 11.ინგოლშტადტი | 17 | 5 | 5 | 7 | 11-18 | 20 |
| 12.აუგსბურგი | 17 | 5 | 4 | 8 | 21-26 | 19 |
| 13.დარმშტადტი | 17 | 4 | 6 | 7 | 17-26 | 18 |
| 14.აინტრახტი | 17 | 4 | 5 | 8 | 21-28 | 17 |
| 15.შტუტგარტი | 17 | 4 | 3 | 10 | 22-37 | 15 |
| 16.ვერდერი | 17 | 4 | 3 | 10 | 17-32 | 15 |
| 17.ჰანოვერი | 17 | 4 | 2 | 11 | 18-29 | 14 |
| 18.ჰოფენჰაიმი | 17 | 2 | 7 | 8 | 17-25 | 13 |

### იტალია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 23.01 | ფროზინონე-ატალანტა | 3.4 | 3.5 | 2.1 |
| 23.01 | ემპოლი-მილანი | 3.0 | 3.2 | 2.4 |
| 24.01 | ფიორენტინა-ტორინო | 1.83 | 3.5 | 4.4 |
| 24.01 | ინტერი-კარპი | 1.4 | 4.4 | 8.5 |
| 24.01 | ლაციო-კიევო | 1.67 | 3.6 | 5.5 |
| 24.01 | ვერონა-ჯენოა | 2.9 | 3.25 | 2.45 |
| 24.01 | სასუოლო-ბოლონია | 1.85 | 3.3 | 4.6 |
| 24.01 | სამპდორია-ნაპოლი | 6.5 | 4.2 | 1.5 |
| 24.01 | პალერმო-უდინეზე | 2.87 | 3.2 | 3.5 |
| 24.01 | იუვენტუსი-რომა | 1.67 | 3.6 | 5.5 |

**ფროზინონე-ატალანტა**

ფროზინონე: ***ტრავმ***-რობერტო კრიველო

ატალანტა: ***ტრავმ***-გაბრიელ პალეტა, კარლოს კარმონა; ***დისკვ***-ლუკა გიგარინი

**ემპოლი-მილანი**

ემპოლი: ***ტრავმ***-ანდრეა კოსტა; ***დისკვ***-ლეანდრო პარედესი

მილანი: ***ტრავმ***-როდრიგო ელი, დიეგო ლოპესი, ჯერემი მენეზი

**ფიორენტინა-ტორინო**

ფიორენტინა: ***ტრავმ***-მილან ბადელი; ***დისკვ***-მატიას ვეჩინო

ტორინო: ***ტრავმ***-ბრუნო პერესი, ჯოელ ობი

**ინტერი-კარპი**

ინტერი: ***ტრავმ***-არავინ

კარპი: ***ტრავმ***-იგორ ბუბნიჩი, მატეო ფედელე; ***დისკვ***-ისააკ კოფიე, რიკარდო კალიოლო

**ლაციო-კიევო**

ლაციო: ***ტრავმ***-ფედერიკო მარკეტი, სტეფან დე ვრეი

კიევო: ***ტრავმ***-რიკარდო მეჯორინი, ალესანდრო გამბერინი, ფედერიკო მატიელო

**ვერონა-ჯენოა**

ვერონა: ***ტრავმ***-ლუკა ტონი, რომულო

ჯენოა: ***ტრავმ***-არავინ; ***დისკვ***-ნიკოლას ბურდისო

**სასუოლო-ბოლონია**

სასუოლო: ***ტრავმ***-სიმონე მისიროლი, ემანუელ ტერანოვა

ბოლონია: ***ტრავმ***-დომენიკო მაიეტა, ფრანკო ბრიენზა, ლუკა რიცო

**სამპდორია-ნაპოლი**

სამპდორია: ***ტრავმ***-არავინ; ***დისკვ***-რობერტო სორიანო

ნაპოლი: ***ტრავმ***-არავინ

**პალერმო-უდინეზე**

პალერმო: ***ტრავმ***-არავინ; ***დისკვ***-სინიშა ანდელკოვიჩი

უდინეზე: ***ტრავმ***-ალექსანდერ მერკელი; ***დისკვ***-დანილო

**იუვენტუსი-რომა**

იუვენტუსი: ***ტრავმ***-რობერტო პერეირა

რომა: ***ტრავმ***-, სალიჰ უკანო, კევინ სტროოტმანი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 20 | 13 | 5 | 2 | 41-16 | 44 |
| 2.იუვენტუსი | 20 | 13 | 3 | 4 | 37-15 | 42 |
| 3.ინტერი | 20 | 12 | 4 | 4 | 25-13 | 40 |
| 4.ფიორენტინა | 20 | 12 | 2 | 6 | 37-21 | 38 |
| 5.რომა | 20 | 9 | 8 | 3 | 37-23 | 35 |
| 6.მილანი | 20 | 9 | 5 | 6 | 27-23 | 32 |
| 7.სასუოლო | 20 | 8 | 8 | 4 | 25-21 | 32 |
| 8.ემპოლი | 20 | 9 | 4 | 7 | 25-24 | 31 |
| 9.ლაციო | 20 | 8 | 4 | 8 | 25-29 | 28 |
| 10.კიევო | 20 | 7 | 6 | 7 | 26-22 | 27 |
| 11.ტორინო | 20 | 7 | 5 | 8 | 27-26 | 26 |
| 12.ატალანტა | 20 | 7 | 4 | 9 | 21-24 | 25 |
| 13.უდინეზე | 20 | 7 | 3 | 10 | 18-31 | 24 |
| 14.სამპდორია | 20 | 6 | 5 | 9 | 29-32 | 23 |
| 15.ბოლონია | 20 | 7 | 2 | 11 | 22-27 | 23 |
| 16.ჯენოა | 20 | 6 | 4 | 10 | 23-26 | 22 |
| 17.პალერმო | 20 | 6 | 3 | 11 | 19-33 | 21 |
| 18.კარპი | 20 | 4 | 5 | 11 | 19-35 | 17 |
| 19.ფროზინონე | 20 | 4 | 3 | 13 | 22-45 | 15 |
| 20.ვერონა | 20 | 0 | 9 | 11 | 13-32 | 9 |

### საფრანგეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 23.01 | პსჟ-ანჟე | 1.18 | 6.5 | 17.0 |
| 23.01 | ნანტი-ბორდო | 2.4 | 3.1 | 3.1 |
| 23.01 | გენგამი-ბასტია | 1.8 | 3.1 | 5.5 |
| 23.01 | ლილი-ტრუა | 1.4 | 4.33 | 8.5 |
| 23.01 | მონპელიე-კაენი | 2.15 | 3.2 | 3.6 |
| 23.01 | ნიცა-ლორიანი | 1.85 | 3.5 | 4.33 |
| 24.01 | მონაკო-ტულუზა | 1.91 | 3.4 | 4.2 |
| 24.01 | რეიმსი-სტ.ეტიენი | 2.9 | 3.0 | 2.6 |
| 24.01 | ლიონი-მარსელი | 2.15 | 3.3 | 3.4 |

**პსჟ-ანჟე**

პსჟ: ***ტრავმ***-ტიაგო სილვა, ანხელ დი მარია

ანჟე: ***ტრავმ***-ფერებორი დორე

**ნანტი-ბორდო**

ნანტი: ***ტრავმ***-ალექსის ელანდი, ემილიანო სალა, ვილფრედ მოიმბე, ვალენტინ რონგიე

ბორდო: ***ტრავმ***-ისააკ კიესე, რობინ მაულუნი, მილან გაიიჩი, პაბლო, გრეგუარ სერტიჩი

**გენგამი-ბასტია**

გენგამი: ***ტრავმ***-ნილ დე პოუვი, მამადუ სამასა, მაქსინ ბაკა

ბასტია: ***ტრავმ***-ფლორიან რასპენტინო, კრისტოფერ მალუბუ

**ლილი-ტრუა**

ლილი: ***ტრავმ***-ფლორენ ბალმო, მაიკ მეინანი, ალექსის არაუჟო, მარკო ბაშა

ტრუა: ***ტრავმ***-იოან მარსიალი, მორი კონე

**მონპელიე-კაენი**

მონპელიე: ***ტრავმ***-მორგან სანსონი, იორის მავრო, პოლ-ბასტიენ ლასნე

კაენი: ***ტრავმ***-დამიენ და სილვა

**ნიცა-ლორიანი**

ნიცა: ***ტრავმ***-რიკარდო პერეირა, მეტიუ ბოდმერი, მაჰამანე ტრაორე, ალასანე პლეა, სიმონ პუპლინი

ლორიანი: ***ტრავმ***-მაიედ ვორისი, ბენჯამინ მუკანჯო, ვესლი ლაუტოა

**მონაკო-ტულუზა**

მონაკო: ***ტრავმ***-ივან კავალიერო, როკარდო კარვალიუ, ალმამი ტურე, ადამა ტრაორე, უვა ეჩიეჯილე

ტულუზა: ***ტრავმ***-ზინედინ მაჩა, ეტიენ დიდო, ჟან-არმელ კანა-ბიიკი, პავლე ნინკოვი

**რეიმსი-სტ.ეტიენი**

რეიმსი: ***ტრავმ***-ფედერიკ ბულო, უგო როდრიგესი, გრეიონ კიეი, ანტიან კონტე

სტ.ეტიენი: ***ტრავმ***-რომან ჰამუმა, ბენუა ასოუ-ეკოტუ, ლიოკ პერინი, ისმაელ დიომანდე, ფრანსუა კლერკი, რობერტ ბერიჩი

**ლიონი-მარსელი**

ლიონი: ***ტრავმ***-ანრი ბედიმო, რაფაელი, ნაბილ ფეკირი

მარსელი: ***ტრავმ***-ლუკას ოკამპოსი, პაოლო დე ჩელიე, ბენჯამინ მენდი, რომან ალესანდრინი, აბუ დიაბი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 21 | 18 | 3 | 0 | 51-9 | 57 |
| 2.მონაკო | 21 | 9 | 9 | 3 | 29-25 | 36 |
| 3.ანჟე | 21 | 9 | 7 | 5 | 20-13 | 34 |
| 4.ნიცა | 21 | 9 | 6 | 6 | 35-25 | 33 |
| 5.სტ.ეტიენი | 21 | 10 | 2 | 9 | 24-24 | 32 |
| 6.რენი | 21 | 7 | 10 | 4 | 31-25 | 31 |
| 7.კაენი | 21 | 9 | 3 | 9 | 22-27 | 30 |
| 8.მარსელი | 21 | 7 | 8 | 6 | 31-22 | 29 |
| 9.ლიონი | 21 | 8 | 5 | 8 | 27-25 | 29 |
| 10.ბორდო | 21 | 7 | 8 | 6 | 25-28 | 29 |
| 11.ნანტი | 21 | 7 | 7 | 7 | 18-20 | 28 |
| 12.ლორიანი | 21 | 6 | 9 | 6 | 29-30 | 27 |
| 13.გაზელეკი | 21 | 6 | 8 | 7 | 24-26 | 26 |
| 14.ლილი | 21 | 5 | 10 | 6 | 16-15 | 25 |
| 15.ბასტია | 21 | 7 | 4 | 10 | 21-26 | 25 |
| 16.მონპელიე | 21 | 6 | 4 | 11 | 22-27 | 22 |
| 17.რეიმსი | 21 | 5 | 7 | 9 | 22-29 | 22 |
| 18.გენგამი | 21 | 5 | 6 | 10 | 19-29 | 21 |
| 19.ტულუზა | 21 | 4 | 8 | 9 | 24-35 | 20 |
| 20.ტრუა | 21 | 0 | 8 | 13 | 13-43 | 8 |

# საქართველო პირველ კალათაშია და მეტოქეებს ელის

დღეს გერმანიის ქალაქ მიუნხენში ევროპის 2017 წლის ჩემპიონატის შესარჩევი (საკვალიფიკაციო) ტურნირის კენჭისყრა ჩატარდება, სადაც 27 ნაკრები გადანაწილდება ჯგუფებში და დაიწყებს ბრძოლას ევრობასკეტის 11 საგზურისთვის.




ფიბა-ევროპამ გათამაშების ფორმატი შეიმუშავა, რომლის მიხედვითაც გაიმართება საკვალიფიკაციო ტურნირი.

27 გუნდი 7 ქვეჯგუფში გადანაწილდება. შეიქმნება 6 ოთხგუნდიანი და 1 სამგუნდიანი ჯგუფი. ჯგუფების გამარჯვებულები, პლუს 4 საუკეთესო მეორეადგილოსანი მიიღებს ევრობასკეტის საგზურს. ევროპის ჩემპიონატზე მონაწილეობს 24 გუნდი, რომელთაგან 13 უკვე ცნობილია და, შესაბამისად, საკვალიფიკაციო ტურნირში ბრძოლა 11 საგზურისთვის გაიმართება.

კენჭისყრაზე გუნდები 4 კალათაში იქნებიან გადანაწილებულნი. საქართველო, რა თქმა უნდა, წინა ევრობასკეტის შედეგების გათვალისწინებით (მერვედფინალში ვიასპარეზეთ), პირველ კალათაშია განთესილი ანუ ვიცით, რომ საკვალიფიკაციოში ჩვენი ნაკრების მეტოქეები არ იქნებიან პირველი კალათის დანარჩენი წევრები: პოლონეთი, სლოვენია, ბელგია, რუსეთი, გერმანია და მაკედონია.

**მეორე კალათი:** ესტონეთი, ჰოლანდია, უკრაინა, ბოსნია, ისლანდია, უნგრეთი, ჩერნოგორია.

**მესამე კალათი**: ავსტრია, შვედეთი, ბელარუსი, შვეიცარია, ბულგარეთი, დიდი ბრიტანეთი, სლოვაკეთი.

**მეოთხე კალათი**: პორტუგალია, დანია, ლუქსემბურგი, კვიპროსი, ალბანეთი, კოსოვო.

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# TV პროგრამა

## ორშაბათი 25 იანვარი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00 01.00 "მოამბე" 07.05, 09.10 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00, 23.00 ტ/სერ. "დაუნტონის სააბატო" 12.30 "ფერმა" 13.00 ტ/სერ. "ჩენტო ვეტრინე" 14.05 "მუსიკოლოგოსი" 14.30 ან/ფ "მხიარული ფერმა" 15.00 დ/ფ "ჯეიმი ოლივერის დიდი ბრიტანეთი" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 ტ/სერ. "ქესლი" 19.00 "ტელებლოგი" 19.30 "სიტყვების თამაში" 20.30 "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" 21.00 თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" 22.00 "სპორტი გიორგი ზურაბიშვილთან ერთად" 00.00 "კომუნიკატორი" 01.10 მხ/ფ "ანჯელას ფერფლი"

08.00 დ/ფ "კიდევ სცადე" 09.00 მხ/ფ "ყინულის კაცი" 10.35 დ/ფ "ვენეცია" 11.00 ქართ. მხ/ფ "ქეთილი ადამიანები" 12.30 დ/ფ "ტაილანდი" 13.00 დ/ფ "სიგარეტის გადაგდება" 14.00 "ეპიცენტრი" 15.00, 18.00, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" 16.00 ტ/სერ. "ნიკიტა" 17.00 "პოლიტალტერნატივა" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" (5 ენაზე) 23.00 "ნამდვილი დრო"

06.00, 14.40 სერ. "ორი ბედი" 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.00 ქრონიკა 07.35, 08.10, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. "ოცი წუთი" 11.20 სერ. "კონტრაქტის პირობები" 8 სერ. 12.30 დღის შოუ 17.35 სერ. "დაკარგული წლები" 18.45, 19.03 სერ. "პატარძალი" 20.55 სერ. "ნამსხვრევები" 22.00 იუმორინა 00.00 მხ/ფ "ახოსე გოგონები" (ე.ჯადი) 02.10 მხ/ფ "პატარა ფოკერები" (ბ.სტილერი) 03.45 ერთხელ საქართველოში 04.15 მხ/ფ "საპარა"

06.00, 19.55 სერ. "ალთქმა" 07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.15 სერ. "დინასტია" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 15.40 სერ. "დაკარგული ბავშვობა" 16.55 სერ. "ინდური საგა" 18.55 სერ. "შენ, მხოლოდ შენ" 22.00 ნიჭიერი 23.30 სერ. "სიყრუის თეორია" 8 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი

